# ნაკადული 1999

ეროვნული ბიბლიოთეკა

140
1999



◆ თოვლიანი მწვერვალი ნაცრისფერ კორპუსებს შორის ◆
პრეზიდენტის სტიპენდიატები ◆ როგორი შვილი ხარ?
◆ დეტექტიური თავსატეხი ◆ წერილი პეტრარქას ◆

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“
1999 წ. №2
გამოდის 1926 წლიდან

# ნომრის შინაარსი

1. „ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ ........ 1
2. მხოლოდ კანონით რეგლამენტირებულ დროს ........ 2
3. თუ ასეა, მოგვწერე ........ 3
4. თოვლიანი მწვერვალი ნაცრისფერ კორპუსებს შორის ........ 4
5. პრეზიდენტის სტიპენდიატები ........ 6
6. სიყვარულის ასაკი ........ 8
7. მიპატიჟება საიდუმლო კუნძულზე ........ 10
8. მსოფლიო კიდით კიდემდე ........ 12
9. ??? ........ 13
10. თამარ მეფის ჯვარი ........ 14
11. მე რომ 1 000 დოლარი მქონდეს ........ 16
11. რა და რა ჰქვია რას და რას ........ 18
12. მოზარდთა ჯვაროსნული ლაშქრობები ........ 19
13. იზარდე, მწვანე ჯეჯილო! ........ 20
14. როგორი შვილი ხარ ........ 22
15. წერილი პეტრარკას ........ 24
16. კომპიუტერული თამაშები ........ 27
17. FILM & VIDEO ........ 28
18. კითხვა — თქვენი, პასუხი — ჩვენი ........ 29
19. დეტექტიური თავსატეხი ........ 30
20. თურმე ........ 31
21. სიცილის გაკვეთილი ........ 32

მთავარი რედაქტორი მანანა გელაშვილი
რედაქტორის მოადგილე ქეთევან ცამაცაძე
პასუხისმგებელი მდივანი არჩილ მექანიშვილი

რედაქციის მისამართი: 384096, თბილისი, კოსტავას ქ. № 14
ტელეფონი: 93-31-81, 93-18-84
ფასი სახელშეკრულებო.
ინდექსი 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფაქტი

## „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო



### კიდევ ერთი გამარჯვება

კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის მეექვსეკლასელმა, 12 წლის პიანისტმა თათია კახიძემ, საბერძნეთის ქალაქ მარკოპოლოში გამართულ IV საერთაშორისო კონკურსში, რომელშიც მან მეხუთე საპატიო პრემია დაიმსახურა.

თავისი პირველი კონცერტი თათიამ ექვსი წლისამ გამართა თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში. მოგვიანებით კი მან იტალიის ქ. კანტუში მსოფლიო კონკურსზე ორკესტრთან ერთად ჰაიდნის კონცერტის პირველი სამი ნაწილი შეასრულა და ყველაზე პატარა მონაწილის პრიზი მიიღო. ამას მოჰყვა ნორჩი პიანისტის გამოსვლები ვარადოში, ანტვერპენში, მონტე კარლოში და სხვ.

### „პატარა პრინცი" მრგვალ ბაღში

თბილისში, ვაკის უბანში ერისთავის, ირ. აბაშიძის, ბარნოვის, ქუთათელაძისა და მცხეთის ქუჩების შესაყართან მდებარე კოპწია მრგვალ ბაღს ამიერიდან ახალგაზრდა მოქანდაკის ირაკლი ჟვანიას ნახელავი "პატარა პრინცის" მოტივებზე შექმნილი სკულპტურული ქმნილება დაამშვენებს.

### „სამყარო ბავშვის თვალით"

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეაში გამართულ გამოფენაში "სამყარო ბავშვის თვალით" 6-15 წლის 25 ნორჩმა მხატვარმა მიიღო მონაწილეობა. ნამუშევრების ავტორები სახვითი ხელოვნების სტუდია "ცეროდენაში" სწავლობენ (ხელმძღვანელი ალა დემეტრაშვილი). ექსპოზიციის უმცროს მონაწილეებს ძირითადად ცხოველები დაუხატავთ, მოზრდილებს კი — მშობლიური ქალაქი, ეკლესიები, მეგობარ-ამხანაგები, ყოფითი სცენები.

### ერთად

საქართველოს კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ამიერიდან ქართული და რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრები გვერდიგვერდ იარსებებენ. კარგა ხანია, უბინაოდ დარჩენილ ქართულ თეატრს ბოლოს და ბოლოს ეშველება — იგი რუსული თეატრის შენობის მიშენებულ გაფართოებულ ნაწილს დაიკავებს. პროექტს კულტურის სამინისტრო დააფინანსებს.

### ახალი სკოლა ცხინვალის რეგიონში

ცხინვალის რეგიონში, პატარა ლიახვის ხეობის ერედვის თემის დისევის საკრებულოს სოფელ ქსუისში გაიხსნა გაეროს ეგიდით აშენებული სკოლა.



# მხოლოდ კანონით რეგლამენტირებულ დროს

საქართველოს ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტმა შეიმუშავა კანონპროექტი „არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ“, რომელიც მიმართულია მომავალი თაობის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის და. უსაფრთხოების დასაცავად. ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები გაგვიზიარა ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა **ზურაბ გაიპარაშვილმა.**

– კანონპროექტზე შვიდი თვის განმავლობაში ვმუშაობდით. ძალიან გამოგვადგა ევროპის ქვეყნების გამოცდილება. ძირითადად, გერმანიასა და საფრანგეთში მიღებულ ანალოგიურ კანონებს ვეყრდნობოდით. ყველა ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყანაში კარგა ხანია მოქმედებს კანონები, რომლებიც კრძალავს სიგარეტის, ალკოჰოლიანი სასმელების, პორნოგრაფიული პროდუქციის გავრცელებას არასრულწლოვანებში. ევროპაში სახელმწიფო თუ კერძო ტელეარხებს მძაფრსიუჟეტიანი ან პორნოგრაფიული გადაცემებისა და ფილმების დემონსტრირება მხოლოდ კანონით დადგენილ და განსაზღვრულ დროს, კერძოდ, შუაღამის შემდეგ შეუძლიათ.

**— ვინ გეხმარებოდათ კანონპროექტზე მუშაობისას?**

– ფასდაუდებელი სამართლებრივი დახმარება გაგვიწიეს ექსპერტებმა. სამი ექსპერტი გვყავდა: ფრანგი, პოლონელი და ესტონელი. ესტონეთში, საქართველოსავით ახალგაზრდა, დემოკრატიულ სახელმწიფოში, კანონი "არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ" უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს.

ჩვენს კანონპროექტზე მუშაობისას გაწეული ხარჯები ევროსაბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა დირექტორატმა დაფარა. საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მხარში ამოგვიდგნენ და ეს კანონზომიერია: ჩვენს მიერ შემუშავებული კანონპროექტი პირდაპირ ესადაგება გაეროს დეკლარაციას "ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ", რომელსაც საქართველო რამდენიმე წელია შეუერთდა.

**— ალბათ, თქვენმა კანონპროექტმა პერიოდული გამოცემებისა და ტელეკომპანიების მესვეურთა გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია.**

– დიახ. ზოგიერთი დემოკრატიული პრინციპების შელახვაში გვდებდნენ ბრალს, თუმცა, ახალი კანონპროექტი ძალადობისა და პორნოგრაფიის ამსახველ გამოცემებსა და ტელეპროდუქციას კი არ კრძალავს, არამედ მოზარდებში მათ გავრცელებას ზღუდავს. სრულწლოვან მოქალაქეებს კვლავ დაუბრკოლებლად შეეძლებათ პიკანტური ლიტერატურის შეძენა და მათთვის საინტერესო ფილმების ნახვა ტელევიზიით, მხოლოდ კანონით რეგლამენტირებულ დროს.

**— ბატონო ზურაბ, თქვენ ბრძანეთ, რომ კანონპროექტზე მუშაობისას ევროპელების გამოცდილებას ეყრდნობოდით. ალბათ, მდიდარ, ცივილიზებულ ქვეყნებში მსგავსი კანონების შემოღება ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი, ჯანსაღი და უსაფრთხო გართობის ფართო არჩევანთან ერთად კარგ ეფექტს იძლევა. მომავალი თაობის გარკვეულ ნაწილს საქართველოშიც შეუძლია საკუთარი ინტერესების მიხედვით აირჩიოს გართობის საშუალებები. თუნდაც კომპანია „აიეტის“ მიერ მსოფლიოში განთქმული საბავშვო ტელეარხის „Nickel odeon“-ის გადაცემების უწყვეტი ტრანსლირება გავიხსენოთ. თუმცა, კომერციული ტელეარხით გადაცემული პროგრამების ნახვის შესაძლებლობას ბავშვების უმრავლესობა მოკლებულია.**

– იმედი მაქვს, მომავალში საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი გახდება ჯანსაღი და უსაფრთხო გართობის ყველა ის საშუალება, რომელიც მათ ევროპელ თანატოლებს გააჩნიათ. დღესდღეობით კი ჩვენ მიერ შემუშავებული კანონპროექტი რეალურად დაეხმარება ოჯახებს მათი შვილების ნორმალურ აღზრდაში.

**— კონკრეტულად როდის ამოქმედდება კანონი „არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ?“**

– კანონპროექტი უკვე განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ყველა სამინისტრომ და საზოგადოებრივმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ. ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა ჩვენი კანონპროექტი. ქართველი კანონმდებლები მას გაზაფხულის საპარლამენტო სესიაზე განიხილავენ და სულ მალე კანონი "არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ" ძალაში შევა.

ესაუბრა

**ნანა მაჭაშვილი**

# ...თუ ასეა მოგვწერე

ცდილობ საკუთარ თავში გაერკვე? მოულოდნელ პრობლემებს გადააწყდი? მშობლები ვერ გიგებენ? საკუთარ განცდებს, ფიქრებს, გულისნადებს თანატოლებს ვერ უზიარებ? ვიღაც მოგწონს და ვერ უმჟღავნებ? არ იცი, რა იქნება წელს მოდაში?

მოგვწერე, უსათუოდ დაგეხმარებით. თუ თავად ვერ მოახერხე წერილის გამოგზავნა, გამომცემ-ლობა „სამშობლოს" ექსპედიციაში დაგვიტოვე წარწერით ჟურნალი „ნაკადული", შეგიძლია ხშირად ტელე-ფონით დაგვიკავშირდე. ჩვენი მისამართიც და ტელეფონის ნომერიც ჟურნალის გარეკანის მე-2 გვერდზეა მოცემული.

### „ჯერ არავის ვყვარებივართ"

**კი ვიცით, რომ ჩვენი ვინაობა ანონიმური დარჩება, მაგრამ ჩვენს ნამდვილ სახელებს მაინც ნუ დაწერთ, კარგი! ვთქვათ, მე ნინიკო მქვია, ჩემს დაქალს კი — თამუნა. ორივენი ნორმალური გოგოები ვართ, არც ძალიან ლამაზები, მაგრამ არც მახინჯები, არც მეტიჩრები, მაგრამ არც უცხვირპიროები. შეიძლება მდიდრულად არ გვაცვია, მაგრამ ვცდილობთ მოდურად, გემოვნებით ჩავიცვათ, ამხანაგებში ყოფნაც გვიყვარს, არც ცუდად ვსწავლობთ, არც „რქანები" ვართ, მაგრამ ერთი პრობლემა მაინც გვაქვს: მე და თამუნა 15-15 წლისა ვართ და ჯერ არც ერთ ბიჭს არ ვყვარებივართ, ჩვენი ტოლი გოგოები კი ცხვირსახოცივით იცვლიან ბიჭებს.**

**ნინიკო და თამუნა, 15წ.**

ჩემო კარგებო, რატომ გადაგიწყვეტიათ, რომ მაინცდამაინც თხუთმეტი წლის ასაკში უნდა შეუყვარდეთ ვინმეს? ნამდვილ სიყვარულს ზოგჯერ ძალიან დიდხანს ელიან. შეიძლება ზოგს თორმეტი წლის ასაკში ეწვიოს სიყვარული, ზოგს თექვსმეტისაში, ზოგსაც ოცდაათის შემდეგ. ნუ იქნებით სულსწრაფები, გჯეროდეთ, რომ ადრე თუ გვიან თქვენი მშვენიერი პრინციც გამოჩნდება, მანამდე კი თვითონ გიყვარდეთ საკუთარი თავი, თვითონ ეცით საკუთარ თავს პატივი და გახსოვდეთ, რომ მხოლოდ ასეთები უყვართ. ნუ მოიწყენთ.

### „მინდა ფოტომოდელი გავხდე"

**მე მეცხრე კლასში ვსწავლობ, შესახედად არა მიშავს, ჩემი სიმაღლეა 169 სმ, გამხდარი ვარ, პატარაობაში ცეკვაზე დავდიოდი და ამიტომ მხრებგამართული დავდივარ. ძალიან მინდა ფოტომოდელი გავხდე, მაგრამ გოგოები მეუბნებიან, ისეთი არაფერი მონაცემები არა გაქვს. თუ შეგიძლიათ, დამეხმარეთ, დამარიგეთ, ვის მივმართო, რა ვქნა.**

**ლელა ს.**

ლელა, პირველ რიგში, ალბათ საკუთარ იმიჯზე უნდა იზრუნო. მონაცემები ურიგო ნამდვილად არ გქონია, ოღონდ ეს არ კმარა. მეტი იკითხე ჟურნალები, სადაც სპეციალისტთა რჩევებია მოცემული, გაეცანი ინტერვიუებს ცნობილ ფოტომოდელებთან. იმედია, გაცნობიერებული გაქვს, რომ ფოტომოდელობა, კისკისი და კუნტრუში კი არა, ძალზე დამღლელი შრომაა და მას ერთბაშად არ მოაქვს დიდი ჰონორარები. დასასრულ ერთი პრაქტიკული რჩევა – გაზეთი "ქალთა გაზეთი" ყოველთვიურად ატარებს სილამაზის კონკურსს, წლის ბოლოს ტარდება კონკურსში გამარჯვებულთა შეკრება – შოუ, რომელზეც წლის გამარჯვებულებს ასახელებენ. კონკურსის ჟიურიში შედიან ცნობილი ქართველი დიზაინერები, მოდელიერები. ამ კონკურსმა რამდენიმე ახალგაზრდა უკვე გაიყვანა დიდ პოდიუმზე. შენ რაღა გიშლის ხელს, სცადე ბედი, გამოცდილებას მაინც შეიძენ.

### „ის ლამაზია, მე კი არა"

**ერთ ბიჭთან დავდიოდი, მერე დავცილდით. ჩემი ბრალი იყო. მომეჩვენა, რომ ის ლამაზია, მე კი არა. თვითონ ვერ ხვდება მიზეზს და მწერს ისევ შევხვდეთ ხოლმეო. მე კი მგონია, რომ ასეთ ბიჭს არ შეიძლება ჩემნაირი გოგო მოსწონდეს, მით უმეტეს, უყვარდეს. მე კი, უნდა გამოგიტყდეთ, მიყვარს კიდეც.**

**14 წლის მაიკო შ.**

შენ გვწერ ის ლამაზია, მე კი არაო და ასკვნი, რომ არ შეიძლება ასეთ ბიჭს მოსწონდე. უნდა გითხრათ, რომ ძალიან ცდები! ვინ გითხრა, რომ ლამაზ ადამიანებს მხოლოდ ლამაზები უნდა უყვარდეთ! აბა დააკვირდი, რამდენია ისეთი წყვილი, სადაც ერთ-ერთი მეორეზე ბევრად ლამაზია. შეიძლება ამან გარშემო მყოფთა გაკვირვება გამოიწვიოს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს ორნი შესანიშნავად გრძნობენ თავს ერთად. ამიტომაც, თუ შენ მხოლოდ გარეგნობის გამო არ ხვდები იმ ბიჭს, ცდები. კარგად დაფიქრდი, მიმოიხედე, აწონ-დაწონე ავიც და კარგიც და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღე საბოლოო გადაწყვეტილება.

### „როგორ შევარჩიო ფერი?"

**როცა დაბადების დღეზე ან სადმე შეხვედრაზე მივდივარ, შემიძლია ფრჩხილებიც შევიღებო და ტუჩებიც, მაგრამ საჩემო ფერების შერჩევა ჯერ არ ვიცი.**

**ეკა შ. 16 წ.**

მართალია, ლაქისა და პომადის ფერი უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. მათი შერჩევა კი არც ისე ძნელია – საკმარისია ეტიკეტის ნომერს დააკვირდე. არსებობს ახალგაზრდული კოსმეტიკის სერიები. საერთოდ კი უმჯობესია ჯერ ნუ დაიწყებ, რომ პომადის ფერს სახის კანის, თმისა და თვალების ფერის გათვალისწინებით ირჩევენ. შავგვრემანმა და მუქთვალება გოგონებმა უფრო მკვეთრი ფერები უნდა იხმარონ, თეთრკანიან და ქერათმიანებს უფრო ვარდისფერი და პასტელის ფონები უხდებათ, წაბლისფერთმიანებმა კი ბუნებრივი ხილისფერები უნდა შეარჩიონ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# თოვლიანი მწვერვალი ნაცრისფერ კორპუსებს შორის



პირველ ხანებში გაოცებული გამვლელ-გამომვლელები შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს თუ როგორ მიცოცავდნენ მაღლივი კორპუსის კედელზე სხვადასხვა ასაკის ბავშვები, ნერვიულობდნენ, ზოგი აღშფოთებასაც კი გამოთქვამდა, ვის გაუგია, აბა ეს რა გართობააო?! ბავშვები კი აუჩქარებლად, შეუპოვრად მიიწევდნენ ზევით და ეს ნაცრისფერი კედელი თოვლით დაფარული მწვერვალის კალთად ესახებოდათ.

დასალაშქრავი "მთის ძირში" კი ის ადამიანი იდგა, ვინც მათ დიდი დიღმის მესამე მიკრორაიონის ერთფეროვან კორპუსებს შორის საოცნებო მწვერვალი აღმოაჩინა და დაოკებული მღელვარებით ადევნებდა თვალს ყოველ მოძრაობას, თოკის ყოველ შეტოკებას.

დიდხანს ოცნებობდა ცნობილი ქართველი ალპინისტი ბიძინა გუჯაბიძე მრავალსართულიანი XVIII კორპუსის კედელზე ასასვლელი გაეკეთებინა, ბავშვები შეეგროვებინა და მათთან ემუშავა. და თუმცა ჩანაფიქრის ხორცშესხმა მოგვიანებით მოხერხდა, კეთილი საქმე მაინც გაკეთდა. დღეს ბიძინა გუჯაბიძის ჯგუფში 20 ბავშვია, მათგან ყველაზე უმცროსი 4 წლისაა.

ძირითადად კი 10-14 წლის გოგობიჭები.

ბატონ ბიძინას რომ ჰკითხოთ, კლდეზე ცოცვა უფრო ბავშვების სპორტია.

– სანამ ფეხს აიდგამდეს, ბავშვი ცოცავს. ყოველი ადამიანი ჯერ ცოცვას სწავლობს, მერე – სიარულს. ჩემი სამივე შვილი პატარაობიდანვე, სამი წლის ასაკიდან მივაჩვიე კედელზე ცოცვას, ჩემთან ერთად ვავარჯიშებდი, დღეს კი უკვე შეჯიბრებებშიც მონაწილეობენ.

ჯგუფის წევრები თითქმის ყოველდღე ვარჯიშობენ, ძალიან მონდომებულები არიან, სიამოვნებით ცოცავენ. ეტყობა, წინააღმდეგობის დაძლევის შეგრძნებაც ათამამებთ. რაც შეეხება შიშს, საერთოდ ვერ ვატყობ, რომ ეშინოდეთ, მხიარულად, ხალისით აკეთებენ ამ საქმეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფლება აქვს წამით მაინც მოადუნონ ყურადღება, სიფრთხილე დაივიწყონ... საერთოდ, რა თქმა უნდა, თავიდან ბევრს ეშინია, განსაკუთრებით პატარებს, მაგრამ შიშის დაძლევა თანდათან ხდება და მე იმედი მაქვს, რომ ყველანი უშიშრები გახდებიან.

შეიძლება ყველა ვერ გამოვიდეს კლდეზე მცოცავი და ძლიერი ალბათ ყველა იქნება. ბევრი ბავშვი სპორტის სხვა სახეობაშიც ვარჯიშობს, მაგალითად, ხუთი ბიჭი რაგბიზე დადის. ისინი, შეიძლება ითქვას, ჩვენი ვეტერანები არიან, ამ ბიჭებს საშუალებაც მეტი აქვთ და ენთუზიაზმიც, პატარებსაც სიამოვნებით ეხმარებიან...

კედელი კედლად, მაგრამ ნამდვილ მთებსა თუ კლდეებსაც უნდა მოუსინჯონ კალთები და ბიძინა მასწავლებელს ხშირად დაჰყავს თავისი აღსაზრდელები ლამისთევით ბოტანიკურ ბაღში, ნაწილი ყაზბეგში გამართულ შეჯიბრებებშიც მონაწილეობს, ზოგი ჭიათურაშიც იყო. საშუალება რომ იყოს, სულ ბუნებაში იქნებოდნენ, მაგრამ ჭირს, სახსრები არ არის. პირველივე შესაძლებლობისთანავე წყალტუბოში, იქაურ მღვიმეებში გაიყვანს ბიძინა გუჯაბიძე თავის გოგო-ბიჭებს და იქ შეამოწმებს თითოეულის მზადყოფნას, ამტანობასა და საზრიანობას.

ნუთუ მთელი ეს ხანი არც შემწე და დამხმარე გამოუჩნდათ და არც შეძლებული გულშემატკივარი?

– რაც შეეხება დახმარებას, ერთი ჩემი გერმანელი მეგობარი დაგვეხმარა. მოგზაურია, ველოსიპედით იმოგზაურა დორბულდიდან პეკინამდე.





საქართველოში გაელისას შემთხვევით გაეიცანი, სტუმრად იყო ჩემთან, ჩემი ბავშვებიც ნახა და ეტყობა დიდი მოწადინება და საქმის სიყვარული შეგვატყო და დახმარება შემომთავაზა. თუმცა კი მცირედი დახმარება იყო, მაგრამ მე მაინც მადლობელი ვარ მისი...

როგორც ვთქვით, დღეისთვის ბიძინა გუჯაბიძის მცოცავთა ჯგუფში 20 ბავშვია. ყველა სხვადასხვა დროს, სხვადასხვანაირად მოვიდა.

**გიორგი ბერიშვილი** – ამ კორპუსთან ჩავიარე და დავინახე როგორ ცოცავდნენ ბავშვები კედელზე და მეც გამიჩნდა სურვილი მეცოცა მათთან ერთად. საერთოდ არა მაქვს შიშის გრძნობა, პირიქით, ვცდილობ რაც შეიძლება მაღლა ავიდე. ჩემი ოცნებაა მთამსვლელი გავხდე.

**რეზო ხელაშვილი** – ბიძინა მასწავლებელმა ჩვენი სახლის ბავშვებს დაურეკა და უთხრა, ვისაც სურვილი გაქვთ, ჩაეწერეთ ჩემს ჯგუფშიო, მეც დამირეკა და დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. ძალიან მომწონს კედელზე ცოცვა, ძალიან მიხარია რაც უფრო მაღლა ვცოცავ. სულაც არ მეშინია, ერთი სული მაქვს, როდის დავიპყრობ ნამდვილ მწვერვალს!

**ლაშა მჭედლიშვილი** – თავიდან არ ვიცოდი, აქ თუ დაცოცავდნენ ბავშვები, რომ გავიგე, მე თვითონ მოვედი და ვთხოვე ბიძინა მასწავლებელს მიმიღეთ მეთქი და დიდი სიამოვნებით მიმიღეს. ძალიან მინდა კლდეზე მცოცავი გავხდე. როცა ვცოცავ, მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობ, რაც შეიძლება უფრო მაღლა ავიდე და პირველმა გადმოვიხედო მთის ზემოდან, ეს სიამოვნება ყაზბეგში ყოფნის დროს განვიცადე, ძალიან მომეწონა იქაურობა.

მე რაგბიზეც დავდივარ და რაგბი



ძალიან მეხმარება ცოცვაში, მალე არ ვიღლები, პირიქით, სხვებსაც ვეხმარები.

**ილია ბერულავა** – მე ბიძინა მასწავლებელმა დამირეკა და შემომთავაზა, დიდი სიამოვნებით დავთანხმდი.

ჩვენ ძალიან გვიყვარს ბიძინა მასწავლებელი, ყოველთვის სტიმულს გვაძლევს, რომ უფრო [illegible] გამბედავები ვიყოთ. ჩვენ არაფრის შიში არა გვაქვს.

ბოლოს გავესაუბრე ბატონ ბიძინას შვილებს, მათ უკვე 3 წლის ასაკიდან დაუწყიათ ცოცვა, მამიკოსთან ერთად ვარჯიშობდნენ და უკვე მონაწილეობას იღებენ შეჯიბრებებში, იყვნენ ყაზბეგში და საქართველოს სხვა კუთხეებში, მათი სურვილია ყველაზე მაღალ მწვერვალზე ასვლა.

**ირაკლი გუჯაბიძე** – მამაჩემს ყოველთვის დავყავდი სამოგზაუროდ. სამი წლის ვიყავი, ცოცვა რომ დამაწყებინა, მაშინ არ ვიცი, რას ვგრნობდი, მაგრამ ახლა მხოლოდ სიხარულს ვგრძნობ არავითარ შიშს არ განვიცდი, პირიქით, ყოველთვის მინდა რაც შეიძლება სწრაფად და დაუღლელად ავიდე მაღლა.

ყაზბეგში ყოფნის დროს ეს სურვილი გამიძლიერდა, მინდოდა, მალე ავსულიყავი მწვერვალზე, ვერავითარ სიცივეს და დაღლილობას ვერ ვგრძნობდი. მხოლოდ იმ სილამაზეზე ვფიქრობდი, რაც იქ ვნახე. არ შემიძლია ყველაფრის გადმოცემა, რადგანაც ეს სილამაზე მხოლოდ მაშინ დავინახე, როცა მწვერვალზე ავედი და გადმოვიხედე. ქვემოდან ამ სილამაზეს ვერ ვხედავდი, ზემოდან ყველაფერი კარგად ჩანდა. მთელი სამყარო ჩემი მეგონა.

**ბაისო გუჯაბიძე** – მე ბავშვობიდან ცოტ-ცოტას ვვარჯიშობდი, ეხლა კი სისტემატურად. რაც ეს კედელი გააკეთა მამაჩემმა, იმის შემდეგ სულ ვვარჯიშობ.

მინდა მთამსვლელი გავხდე. ძალიან მომწონს დიდ სიმაღლეზე ცოცვა, რაც უფრო ზევით ავდივარ, ასე მგონია, რომ ცას ვუახლოვდები. იქიდან ვხედავ და ვრწმუნდები, რა ლამაზია ჩვენი მთები, მთელი ჩვენი ქვეყანა.

ძალიან მინდა ბავშვობის სურვილი ავისრულო და ჰიმალაის მთებზე ავიდე.

**თამარ თათვიძე**

**ავტორის ფოტოები**

# პრეზიდენტის სტიპენდიანტები



ვანო ლალიძე 13 წლისაა, იგი თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მოსწავლეა. 1997 წელს ფრანგულ (ცისფერ) გალერეაში მოეწყო ვანოს ნახატების პერსონალური გამოფენა. იმავე წელს ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეამ და საქართველოს ტელევიზიის საბავშვო სტუდიამ ვანო „თალპიონ-3" კონკურსში გამარჯვებისთვის დიპლომით დააჯილდოვა. 1997 წელს ნორჩმა მხატვარმა მონაწილეობა მიიღო თბილისის თანამედროვე ხელოვნების გალერეაში იუნესკოს ეგიდით გამართულ „მსოფლიოს გოგონებისა და ბიჭების გამოფენაში", რომლის შემდეგაც მისი ერთ-ერთი ნამუშევარი „Soka Cakai International"-ის (იაპონია) კეთილი მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში შევიდა. მომდევნო წელს კი ვანომ ბრიტანეთის ავიახაზების „British Airways"-ის მიერ ჩატარებულ ნორჩ მხატვართა კონკურსში მიიღო მონაწილეობა.

პროფესიონალ მხატვართა შორის ვანო ლალიძის შემოქმედება აღმოჩენად იქცა. შარშან „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმებზე შექმნილი ილუსტრაციებისთვის ნორჩ მხატვარს განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის დაწესებული საქართველოს პრეზიდენტის გრანტი მიენიჭა. გრანტით განსაზღვრული თანხა წიგნად შეკონილი ამ ილუსტრაციების გამოცემას მოხმარდა.

**— ვანო, რაშია საქმე, რომ შენი ილუსტრაციების წიგნი მაღაზიებსა და ჯიხურებში არ ჩანს?**

– წიგნების გაყიდვა ჯერ არ გვიცდია. მე, ჩემი და და მშობლები ამ წიგნებს ნათესავებს, ახლობლებსა და მეგობრებს ვჩუქნით, ჩემი მეგობრები კი ხშირად თავიანთ ახლობლებს ასაჩუქრებენ. ასე რომ, ჩემი წიგნი მაინც გავრცელდა თბილისში. რამდენიმე ეგზემპლარი ჩემი წინაპრების მშობლიურ სოფელ ხაშმში წავიღე და იქაურ ნათესავებსა და მეგობრებს დავურიგე.

**— როდის დაიწყე ხატვა?**

– 5 წლის ვიყავი, პირველად რომ დავხატე. არ მახსოვს რა, უბრალოდ, პატარა ბავშვის ჩვეულებრივი ნახატი იყო. ალბათ, ძალიან მომეწონა და იმის შემდეგ ვხატავ. თუმცა, მშობლები ჩემს ხატვისადმი მიდრეკილებას საგვარეულო ტრადიციებით ხსნიან. ჩემს პაპის პაპას მშობლიურ ქიზიყში ეკლესია აუგია, პაპაჩემი ვანო ლალიძე მხატვარი გახლდათ, მამაჩემი – არქიტექტორია...

ვხატავ ფანქრითა და აკვარელით. მომწონს ფერწერულ ტილოებზე მუშაობა. უპირატესობას ყვითელსა და წითელ ფერებს ვანიჭებ. მიყვარს პორტრეტებზე მუშაობა. ჩემი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ვხატავ. ავტოპორტრეტიც კი დავხატე. არავის ვაიძულებ საათობით გარინდული იჯდეს და ერთ წერტილს მიაჩერდეს. მე ხომ იმათ ვხატავ, ვისაც მთელი სიცოცხლეა ვიცნობ. ახლობლის სახეზე თუნდაც უმნიშვნელო ნაოჭს რა დამავიწყებს! საკუთარ ნამუშევრებში გამორჩევით



მიყვარს ჩემი მეგობრის დათოს პორტრეტი.

**— ყველაზე დიდი წარმატება ფერწერულმა ტილომ „საქართველომ" მოგიტანა, ასე არ არის?**

– დიახ. ტილოზე საქართველოს გეოგრაფიული რუკის კონტურები შემოვხაზე და კუთხეებად დავანაწევრე. შემდეგ ჩვენი ქვეყნის თითოეული კუთხისთვის მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტებისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველი მინიატურები ჩავხატე. საზოგადოებამ ეს ტილო პირველად ცისფერ გალერეაში, ჩემს პერსონალურ გამოფენაზე იხილა. მოგვიანებით ჩემი "საქართველო" პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ნახა. იგი ტილოსთან შეყოვნდა, ყურადღებით ათვალიერებდა, შემდეგ ავტორის გაცნობა მოისურვა. ჩემი თავი რომ წარუდგინეს, ცოტა გაუკვირდა, ალბათ ეგონა, უფრო მოზრდილი ვიქნებოდი და გადამეხვია.

**— შენს ტილოზე ჩვენი ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა მომენტებია აღბეჭდილი. ისტორიით ხარ გატაცებული?**

– დიახ. ისტორია ჩემი ერთადერთი საყვარელი საგანია. საქართველოს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანად დავით აღმაშენებელი მიმაჩნია. აუცილებლად დავხატავ ქართველების ლეგენდარულ მეფეს...

ისე კი, სიმართლე გითხრათ, ყველაზე მეტად ფეხბურთით ვარ გატაცებული. ამის გამო ჩვეულებრივი სკოლიდან საფეხბურთოში გადავედი. საერთოდ, სპორტი მიყვარს: დავდიოდი კარატეზე, ცურვაზე, კარგი მოჯირითე ვარ, განსაკუთრებით ჭირვეული ცხენებით ჯირითი მიყვარს. თუმცა, ფეხ-



ბურთი მაინც სხვაა... ჩემი კერპი იტალიელი ფეხბურთელი ბაჯოა.

**— ეს სპორტში, ხელოვნებაში კი არავის მოუხდენია შენზე ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება?**

– არა. მხატვრებიდან არავის ვეთაყვანები. მამაჩემი და მისი მეგობრები – მხატვარ-არქიტექტორები მიჩიჩინებენ, სამხატვრო ხელოვნებას რომელიმე პროფესიონალთან უნდა დაეუფლოო. მაგრამ, არ მინდა: ვერ ავიტან, ხატვის დროს რომ ვინმე თავზე მადგეს.

**— როგორც ჩანს, სოფელი ძალიან გიყვარს, ხშირად ჩადიხარ მშობლიურ ხაშმში. ბუნების წიაღში ხატვა არასოდეს გიცდია?**

– არა. საერთოდ არ მიყვარს პეიზაჟების ან ნატურმორტების ხატვა. ვხატავ მხოლოდ თბილისში, ჩემს ოთახში. სოფელში მდინარე იორზე დავდივარ, ვცურავ, ვთევზაობ, ამხანაგებთან ერთად ტყეში დავეხეტები. ბუნებასთან დაკავშირებული ყველა და ყველაფერი მიყვარს. ძალიან მიყვარს ცხოველები და ფრინველები. სახლში თუთიყუშები მყავს. თევზებიც მყავდა, მაგრამ დაიხოცნენ. მამა ჯიშიანი ლეკვის მოყვანას დამპირდა. ძაღლები ძალიან მიყვარს. სახლში ჯუჯა პალმები და სხვადასხვა ჯიშის კაქტუსები მაქვს. მცენარეებს თვითონ ვუვლი...

**— ასეთი აღფრთოვანებით ხელოვნებასა და ლიტერატურაზე არ გილაპარაკია და მაინც – დიდი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმებზე ათობით მინიატურა დახატე.**

– ეს სულ სხვაა. "ვეფხისტყაოსანი" ხომ ჩვენი, ქართველების, ბიბლიაა.

ესაუბრა
ნანა მახაშვილი

# პრეზიდენტის სტიპენდიატები



## გოგონა, რომელმაც სიმღერით აიდგა ენა

**ანანო გოკიელი** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლეა. 10 წლის იყო ანანო, როცა საქვეყნოდ ცნობილმა დირიჟორმა კლინგემ მიიწვია თბილისში გამართულ ფესტივალზე „მუსიკა მშვიდობას“, 1995 წელს კი ნორ ჩმა პიანისტმა გერმანიის ქალაქ გიოტინგენში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე ლაურეატის წოდება და სპეციალური პრიზი — „მომავლის მუსიკოსი“ მოიპოვა, 1997 წელს კი პეტერბურგში გამართულ მოცარტის სახელობის კონკურსზე პირველი ადგილი დაიკავა. მარმან 15 წლის ანანო გოკიელი საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატი გახდა.

ენა სიმღერით აუდგამს, ბავშვები ლაპარაკს ტიტინით იწყებენ, ის კი, თურმე, ღიღინებდა. ოჯახში ეს არავის გაჰკვირვებია. ანანოს დიდი პაპა, ივანე გოკიელი ცნობილი კომპოზიტორი იყო. (მისი ოპერა "წითელქუდა" მრავალი წლის მანძილზე იდგმებოდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში), პაპა — ჯემალ გოკიელი კი დირიჟორი გახლდათ. ასე რომ, მუსიკისადმი ლტოლვა და სიყვარული სისხლში აქვს.

როცა წამოიზარდა, მშობლებმა სამუსიკო სკოლაში მიიყვანეს, ფორტეპიანოს კლასში, მოგვიანებით ზ. ფალიაშვილის სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლე გახდა. გიმნაზიაში სწავლის დაწყებიდან დღემდე ანანოს უცვლელი პედაგოგია ქალბატონი ვეკა სვანიძე. მოწაფის ყველა წარმატებაში მასწავლებლის დიდი წვლილიც არის.

საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატების გამოსავლენ კონკურსში მონაწილეობა გიმნაზიის დირექტორის, ბატონი გივი ხატიაშვილის იდეა გახლდათ. ანანომაც სცადა ბედი, როგორც თავად ამბობს და, მოულოდნელად გაიმარჯვა. გაუმართლა, წელს იტალიის ქალაქ სენეგალიაში ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი გაიმართა. პრეზიდენტის სტიპენდია რომ არა, იტალიაში გამგზავრებაზე ვერც იოცნებებდა.

სენეგალიაში გამართული კონკურსის შემდეგ გოგონას მრავალრიცხოვან ჯილდოებს კიდევ ერთი დიპლომი შეემატა.

ამ კონკურსის შემდეგ გერმანიაში ჩავიდა. შტუტგარტსა და კარლსრუეში გამართა კონცერტები. ღელავდა, გერმანელი მსმენელისათვის მათი გენიალური თანამემამულის ბახის "სიუიტა" უნდა შეესრულებინა. საერთოდ, მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა ჰქონდა: მოშკოვსკის "ეტიუდი", შოპენის "სკერცო", მოცარტის "მე-7 სონატა", პროკოფიევის "ცდუნება". ეს ნაწარმოებები ქალბატონმა ვეკა სვანიძემ შეურჩია იტალიაში გამართული კონკურსისათვის. ანანოს მასწავლებელს ალღო არასოდეს ღალატობს. 1997 წელს პეტერბურგში გამართულ დუეტთა კონკურსზე ანანომ და მისმა პარტნიორმა რუსუდან ჩიტაიამ მოცარტის ერთ-ერთი სონატა შეასრულეს. ამ ნაწარმოებს საშემსრულებლო სირთულეების გამო თავად პიანისტებმა უწოდეს "თვითმკვლელების სონატა". თუმცა, ჩვენს გოგონებს სწორედ ამ სონატამ მოუტანა წარმატება — I ადგილი დაიკავეს.

ანანო გოკიელის ხელოვნების დამფასებელთა შორის ერთ-ერთი, საქვეყნოდ განთქმული დირიჟორი კლინგეა. ბატონმა კლინგემ 1993 წელს გაიცნო იგი. მაშინ ანანო თბილისის მუსიკალურ ცენტრში მოცარტის 28-ე კონცერტს ასრულებდა. არც იცოდა, რომ დარბაზში დიდი დირიჟორიც იყო. კონცერტის შემდეგ ნორჩი პიანისტი სახელგანთქმულ დირიჟორს წარუდგინეს, რომელმაც შესთავაზა მონაწილეობა მიეღო თბილისში მიმდინარე ფესტივალში "მუსიკა — მშვიდობას". მაესტროსთან თანამშრომლობა იმ ფესტივალით არ დასრულებულა. 1996 წელს ანანომ და ცნობილმა ქართველმა პიანისტმა მარინე ნადირაძემ კლინგეს დირიჟორობით რამდენიმე კონცერტი გამართეს არგენტინაში. არგენტინელი მსმენელთა წინაშე მრავალფეროვანი რეპერტუარით წარსდგნენ — ბეთჰოვენი, ვებერი, შოპენი... არგენტინას გამორჩეული სითბოთი იხსენებს. ანანო ბევრს მოგზაურობს, ევროპის რამდენიმე ქვეყანაშია ნამყოფი. აღფრთოვანებულია იტალიის უკვდავი არქიტექტურული შედევრებითა და მხიარული, უშუალო იტალიელებით. საფრანგეთმა დახვეწილი ბუნებისა და გემოვნების ხალხით მოხიბლა. გერმანიაში სამი თვე სწავლობდა — ენას ეუფლებოდა. ყველაზე მეტად კი მაინც არგენტინა მოეწონა. მისი აზრით ამ ქვეყანაში ბევრი მზე, ბევრი მუსიკა, ბევრი ყვავილი და ყველაზე ცოცხალი ფერებია. კონცერტები არგენტინის ულამაზეს ქალაქებში ბუენოს-აირესსა და მენდოსაში გამართეს. მასპინძლებმა ლამის მთელი ქვეყანა შემოატარეს, ანდების მთებშიც კი აიყვანეს. იქიდან გადაშლილი ბუნების პანორამა დღესაც თვალწინ უდგას. ქალაქ მენდოსაში კარნავალზე მოხვდნენ. ზღაპრული მუსიკა, ცეკვები, კოსტიუმები... დიდად ისიამოვნა...

ანანოს ძალიან უყვარს მეგობრები, უყვარს ცეკვა, განსაკუთრებით, როკ-ენ-როლი. უყვარს ვაჟას და აკაკის პოეზია. უცხოელი პოეტებიდან შოტლანდიელ რობერტ ბერნსს ანიჭებს უპირატესობას. აღფრთოვანებულია მისი შემოქმედებით. ბერნსი ერთადერთია, ვისაც თავის კერპს, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტს უტოლებს. პოეტ ბერნსსა და კომპოზიტორ მოცარტს ეთაყვანება.

1999 წელი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენით დაიწყო ახალგაზრდა პიანისტისთვის: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში წარსდგა მსმენელის წინაშე.

კონცერტის გამართვა ყველა ქართველი მუსიკოსისთვის დიდი პატივია. 6 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატებს ხვდათ წილად ეს ბედნიერება. კონცერტს საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ შევარდნაძე ესწრებოდა.

უახლოეს მომავალში — აპრილში ახალგაზრდა მუსიკოსთა რესპუბლიკური კონკურსი გაიმართება. ანანო გოკიელს სწორედ აპრილში უსრულდება 16 წელი, ასე რომ, კონკურსში ისიც მიიღებს მონაწილეობას. კონკურსისთვის დიდ პროგრამას ამზადებს — შუბერტის, შოპენის, ბახის, ლისტის, მოცარტისა და ლაღიძის ნაწარმოებებს შეასრულებს. თუმცა, გამარჯვების დიდი იმედი არა აქვს, იმიტომ, რომ მასზე უფროს და გამოცდილ კონკურენტებთან მოუწევს პაექრობა, მაგრამ, ბედს მაინც ცდის.

**ნანა მახაშვილი**

# სიყვარულის ანბანი



როდის ეწვევა ადამიანს სიყვარული?

რომელს ეთქმის სიყვარულის ანბანი?

ვინ იცის...

13–14 წლის, ანუ დაახლოებით თქვენი ტოლები იყვნენ რომეო და ჯულიეტა, თავდავიწყებით რომ შეუყვარდათ ერთმანეთი...

გაცილებით მოზრდილები იყვნენ თინათინი და ავთანდილი, ნესტან-დარეჯანი და ტარიელი ერთმანეთის სიყვარულმა რომ შეიპყრო...

დიახაც ჭარმაგი გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ცურტა ასულისადმი დაუოკებელმა გრძნობამ რომ აუბნია თავგზა...

ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი სულ ჭაბუკი არ გააოგნა ეკატერინეს სიდიადემ?...

თავისზე თითქმის ოთხჯერ ახალგაზრდა ყმაწვილ ქალზე შეყვარებულმა მბრძენმა გოეთემ კი ლამის ოთხმოცი წლისამ დაკარგა ჭკუა-გონება...

ლამაზი, სათუთი გრძნობით უყვარდათ ერთმანეთი სიცოცხლის ბოლომდე შესანიშნავ ქართველ პოეტს სიმონ ჩიქოვანს და მის მეუღლეს ქალბატონ მარიკას. მას უთხრა სიცოცხლის მიწურულს თვალის ჩინდაკარგულმა პოეტმა: „ვაი, ვეღარ ვხედავ მზეს, როცა შენ ვერ გხედავ...“

აკი დიდ გალაქტიონსაც აღმოხდა „უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ...“

თქვენსკენ როგორღაა საქმე?

ჯერ არავინ შეგყვარებიათ?

არც არავინ გამოგცხადებიათ მიყვარხარო?..

არა?..

ოო, რომ იცოდეთ, რა ცუდია!..

უსათუოდ უნდა გიყვარდეთ და უნდა უყვარდეთ...

სხვაგვარად ქვეყანა ნაცრისფრად მოგეჩვენებათ!

სხვაგვარად არაფერს ექნება აზრი!

სხვაგვარად...

სხვაგვარად...

სხვაგვარ ად...

* * *

სიყვარული აღგვამაღლებს.

შ. რუსთაველი

* * *

ვისაც სიყვარული არ განუცდია, ეს იგივეა, რომ არ უცოცხლია.

მოლიერი

* * *

სიყვარული არის ყველაზე ძლიერი ვნება, რადგან იგი ერთდროულად ეუფლება თავს, გულს და სხეულს.

ვოლტერი

* * *

შეყვარებულს ხშირად მახინჯიც ლამაზი ჰგონია.

თეოკრიტე

* * *

უსიყვარულოდ ბალახიც ვერ აბიბინდება!

ფ. შილერი

* * *

სიყვარული არც მაშინ გეკითხება, როცა მოდის და არც მაშინ, როცა მიდის.

ბუასტი

* * *

ჰოი, დიდ არს სიყვარულის და ყოვლისა სათნოებისა უაღრესი და ყოველთა მაღლთა უდიდებულესი და ყოველთა კეთილთა უკეთესი და ყოველთა პატიოსნებათა უწარჩინებულ!

სულხან-საბა ორბელიანი

* * *

რა არის სიყვარული? — ვნება, რომელიც ერთ მხარეზე ათავსებს მთელ დედამიწას, ხოლო მეორე მხარეზე მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის საგანს.

* * *

თვარა სიყვარულს თუ დაჰკარგვიდე, უკვდავებამან მის წილ რა მომცეს?

გრ. ორბელიანი

* * *

მე არ შემიძლია მუსიკის გაგება გარეშე სიყვარულისა.

რ. ვაგნერი

* * *

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?

ალ. ჭავჭავაძე

* * *

ყველაზე დიდი ბედნიერება ცხოვრებაში იმის ცოდნაა, რომ ვიღაცას უყვარხარ.

ვ. ჰიუგო

* * *

სიყვარულს ისეთი სათვალე უკეთია, რომლითაც სპილენძი ოქროდ გვეჩვენება, სიღარიბე — სიმდიდრედ, ხოლო ცეცხლის ნაპერწკლები — მარგალიტებად.

სერვანტესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაქტიონ ტაბიძე

## ცამეტი წლის ხარ

ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა
ჰალარა გულის ზმანება ავი, —
ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,
ცამეტჯერ უნდა მოეკლა თავი!

გაიელის კიდევ ცამეტი წელი,
მოახლოვდება გზა ოცდაექვსი,
მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი,
ატირდება დრო და ჩემი ლექსი.

ოჰ, როგორ მიდის ახალგაზრდობა —
დაუნდობელი სურვილი ლომის!
და ყოველივე როგორ ნაზდება,
როცა ახლოა მზე შემოდგომის.

ტიციან ტაბიძე

## ანანურთან

თამუნია წერეთელს

შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის
მომაგონდები ამ ანანურთან.
შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის,
ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა.

არც კი გიცნობდი, არც კი მენახე,
ისე გხატავდა თამარს ერუბელი.
ხარ დანგრეული შენ "მოდი-ნახე",
ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი.

ისე ნაზია ეს მოგონება,
როგორც დემონის ფრთების შეხება,
სჯობს გაიხარონ სხვა გოგონებმა,
მოიბან შენი ირმის ფეხები.

დე! გაიხარონ იმათ მგოსნებმაც,
მათი ცხოვრება ხვალე იწყება,
ჩვენს მგლოვიარე, მწუხარ ოცნებას
დაფარავს მიწა და დავიწყება.

გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები,
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადეურჩები.

ასე კვდებოდა ალბათ ათასი
და მოწმედ ჰყავდათ ეს ანანური,
ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი
და თვითმკვლელობის იავნანური.

ტერენტი გრანელი

## გაზაფხულის საღამო

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

სული საზღვარს გადასცდება ფრენით,
ახლაც მახსოვს მისამართი შენი.

ცამდე წვდება ღამეების სიგრძე.
რაღაც დიდი სიხარული ვიგრძენ,

წინ მეშლება სხვა ოცნების არე.
მიწის ცქერით დაიღალა მთვარე.

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

ნინო თარიშვილი

## ჩემს ტოლებს

ვიცი, რომ მზითევად
არ მომცემენ "ვეფხისტყაოსანს",
არც წასაღებად
დაჰკეცავენ ქირმანის შალებს,
არც ქართულ კაბას
ჩამაცმევენ ჯვარის საწერად,
არც ვერცხლის ქამარს
მომავლებენ დარდიან წელზე.
ცაში ოთახი განათდება იაპონურად,
ბედნიერებას მომილოცავთ უცხო
კილოზე,
მრავალ წერილებს გამაყოლებთ გზის
საპოვნელად,
მრავალ მოკითხვას დავუხვდები, ვით
მკვდარ მიმოზებს.
დავიმალები
სიყვარულის ცისფერ სუნთქვაში,
დიდი იქნება აღტაცება მზეგამართული,
უხვი კოცნები, ვით კახეთში ღვინის
მარნები,
და სადღეგრძელოს მოიტაცებს
სიტყვა ქართული.
ნამჯისფერ ფრჩხილებს დაამძიმებს
მთვრალი ჰაერი,
გულის პასუხი ყარამფილებს ვეღარ
დაყნოსავს
და მე ვიქნები სიკვდილივით
გაუხარელი,
რადგან მზითევში არ მომცემენ
"ვეფხისტყაოსანს".

მედეა კახიძე

## მე როცა ვუყვარვარ ვისმე

მე როცა ვუყვარვარ ვისმე,
ვარ ბედნიერი და ხალასი;
მიწიდან უენო ბალახის
ხმამაღალ ლაპარაკს ვისმენ,
შევცინი ცასა და ქვეყანას,
მე როცა ვალმერთებ ვისმე.

მე როცა ვუყვარვარ ვისმე,
ვმაღლდები, ვით ცაში სამრეკლო;
მსურს ცისკრის ზარებად დამრეკონ,
ვიცინი ისევ და ისევ.
ვულიმი გამვლელს და გამომვლელს,
მე როცა ვუყვარვარ ვისმე.
მე თავი მგონია მაშინ
ყველა ტკივილების მომრევი,
ვარ დიდი სიმღერის მორევი,
ვარ ენატიკტიკა ბავშვი
და ყველა ლამაზი სიმღერა
მე ჩემი მგონია მაშინ.

ნოდარ ადეიშვილი

## სიმღერა

სოფლის თავს სამი წყაროა,
სამი სარკეა, ლელი!

ერთში შენ ჩანხარ,
ერთში — მე,
ერთში — პეპელა ჭრელი.

ვისია
ცისკრის ციაგი,
ვარდი
ტურფა და მწველი.

გიყვარვარ —
რა უბრალოა,
მიყვარხარ —
რარიგ ძნელი.



# მიპატიჟება საიდუმლო კუნძულზე

ჟიულ ვერნი კუნძულზე დაიბადა, ოღონდ ჩვეულებრივ და სრულიად არასაიდუმლო კუნძულ ფეიდოზე, რომელიც ოდესღაც მდინარე ლუარას პროვინციულ ნანტზე გავლისას შეუქმნია. ბიჭი საათობით ადევნებდა თვალს იალქნიანი თუ პირველი ორთქმავალი გემების მიმოსვლას და ფიქრებში მათთან ერთად შორეულ ქვეყნებში მოგზაურობდა რვეული კი მისი თანატოლებისგან განსხვავებით, სახლების, ბაჭიებისა და ყვავილების გამოსახულებით კი არ იყო სავსე, არამედ ფანტასტიკური საფრენი აპარატების სქემებით, უჩვეულო ხომალდების სილუეტებით. ოცნებას და ფანტაზიას ხან ჯუნგლებში გადაჰყავდა ბიჭი, ხან უკაცრიელ კუნძულზე; წარმოსახვაში იგი ხან მეკობრეებს ებრძოდა, ხანაც გონდოლით მგზავრობდა დედამიწის გარშემო...

გამოხდა ხანი და ნაოცნებარ-ნაფიქრებმა, წარმოსახულ-გამოტანილმა წიგნის ფურცლებზე შეისხა ხორცი. "საიდუმლო კუნძული" გავიხსენოთ — ცაში ფრენა, რობინზონიადა, თავგადასავლები ჯუნგლებში და ზღვაზე, ბრძოლა სტიქიასთან, მეკობრეებთან შებმა, შეხვედრა იდუმალ კაპიტან ნემოსთან...

"საიდუმლო კუნძულს" ჟიულ ვერნი ამიენში წერდა, სადაც პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ გადასახლდა პარიზიდან. მწერლის ეზო-კარს მაღალი მესერი ჰქონდა შემოვლებული, რომელიც ერთგვარად მიჯნავდა მის სახლს დანარჩენი სამყაროსგან. ის, ფეიდო, ნამდვილი კუნძული იყო ბუნებრივი, ეს კი, ამიენი, შექმნილი, ხელოვნური. აი აქ აღმართული კოშკის მესამე სართულზე მოიწყო მწერალმა სამუშაო ოთახი, აქ, ამ საწერ მაგიდასთან იწყებოდა და მთავრდებოდა ყველა მისი არაჩვეულებრივი დაუსრულებელი მოგზაურობა.

"... — მაღლა ვიწევთ?

— არა, პირიქით, ვეშვებით!

— უარესიც, მისტერ სმიტ, ვვარდებით!..."

ასე დინამიურად, სხარტად იწყება რომანი. ძლიერი ნორდ-ოსტი აზბოქრებული ოკეანის თავზე მიაქროლებს საჰაერო ბურთს. ყველაფერს იცილებენ, ყველაფერს ყრიან — აღჭურვილობას, სურსათს, იარაღს. სულ ბოლოს ოკეანის ხახაში ფულით სავსე ტომარას — ათი ათასი ფრანკს გადაუძახეს. რის მაქნისია, რად უნდათ ოქრო, როცა აეროსტატს დაღუპვა ემუქრება! ბოლოს მაინც ვარდნა და ოთხი ჰაერნაოსანი უცხო ნაპირზე აღმოჩნდება. მეხუთე მათგანი სადღაა, ინჟინერი სმიტი? ნუთუ დაიღუპა? და აი პირველი გამოცანა: ვიღაცამ გადაარჩინა საირუს სმიტი, ოკეანემ კი დაუპირა ჩანთქმა, მაგრამ ვიღაც უჩინარმა ნაპირზე გამოიყვანა იგი.

— საიდან დავიწყოთ? — ეკითხებიან საკუთარ თავს და ერთმანეთს უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილნი.

— სულ თავიდან, — პასუხობს საირუს სმიტი და იწყება საინტერესო თხრობა საიდუმლო კუნძულის შესახებ. რომანის გმირები — თავისუფალი, სამართლიანი, მშრომელი და მებრძოლი ადამიანები ამერიკაში აღმოაჩინა მწერალმა. ინჟინერი სმიტი, ზანგი ნაბი, ჟურნალისტი სპილეტი, მეზღვაური პენკროფი, ყმაწვილი ჰერბერტი, ჩრდილო-ამერიკელები არიან, ხოლო ამერიკელთა ეს ნაწილი სამოქალაქო ომში მონობის გაუქმებისათვის და შეერთებული შტატების ერთიანობისთვის იბრძოდა. უთუოდ შემთხვევით არ შეურჩევია ჟიულ ვერნის ასეთი ეკიპაჟი — ოთხი თეთრკანიანი, ერთი ზანგი, ხნიერი პენკროფი და ყმაწვილი ჰერბერტი. მან თითქოს მთელ კაცობრიობას მოუყარა თავი ამ ხუთეულის სახით ამ იდუმალ ვულკანურ კუნძულზე. მთელი მსოფლიოს ფლორასა და ფაუნასაც შეგნებულად მოუყარა აქ თავი, თორემ განა შეეშლებოდა? რომც არ



სცოდნოდა, საცნობარო ლიტერატურას მიმართავდა, ასე უხვად რომ იყო მის პირად ბიბლიოთეკაში. ცხადია, იცოდა, რომ სამხრეთ განედის 35 გრადუსზე მდებარე კუნძულზე ვერც იაგუარები იქნებოდა, ვერც ორაგუტანგები, და სმიტი და მისი მეგობრები ვერც როჭოს მოინადირებდნენ აქ და ვერც რალას. ბოტანიკაც შესანიშნავად იცოდა მწერალმა და გეოგრაფიაც, მაგრამ მას იმის შეხსენება უნდოდა კაცობრიობისათვის, რომ ყველანი ადამიანები ვართ. ხუთი ჰაერნაოსანი მთელ კაცობრიობას წარმოადგენს, ხოლო კუნძული, რომელსაც მათ დემოკრატ ლინკოლნის სახელი უწოდეს, მთელი მსოფლიოს სიმბოლოა.

ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ, როგორ გვიყვება მწერალი ცივილიზაციის განვითარების ისტორიას. საიდუმლო კუნძულზე მოხვედრილი ჰაერნაოსნები ხახუნის გზით ანთებენ ცეცხლს, ფრინველზეც პრიმიტიული იარაღით — ჯოხით ნადირობენ. მერე მშვილდ-ისარი გაჩნდა. ინჟინერმა სმიტმა მეთუნის ღუმელი გამართა, რკინა გამოადნო, კოლონისტებს შრომის იარაღი გაუჩნდათ — ნაჯახი, ჩაქუჩი, ხერხი...

ჟიულ ვერნმა ლინკოლნის კუნძულზე რამდენიმე წიგნის გმირები შეახვედრა ერთმანეთს. აქ ჰპოვა თავისი ბოლო ნავსაყუდელი კაპიტან ნემოს წყალქვეშა ნავმა "ნაუტილუსმა" ("80 000 კილომეტრი წყალქვეშ") — აქვე დაბრუნდა 12 წლის შემდეგ იახტა "დუნკანი", რათა ყოფილი კატორღელი აირტონი წაეყვანა, აქვე გაიცნეს ერთმანეთი კაპიტანმა რობერტ გრანტმა, ინჟინერმა საირუს სმიტმა და მისმა მეგობრებმა.

თქვენც კი შეგიძლიათ საიდუმლო კუნძულზე აღმოჩნდეთ, მისი კოორდინატები ცნობილია — აღმოსავლეთ გრძედის 150°3' და სამხრეთ განედის 34 ° 57'.

ხოლო ამისათვის მხოლოდ ჟიულ ვერნის "საიდუმლო კუნძულის" გადაფურცვლაა საჭირო.

**მარიამ ზაალიშვილი**






# მსოფლიო კიდით კიდემდე

ეროვნული

## „ქრისტე როგორლა მოიქცეოდა“?

ათ წელზე მეტი ხნის წინათ ბავშვებისა და მოზარდებისთვის განკუთვნილ ტანსაცმელზე, სასკოლო ნივთებზე, სათამაშოებსა თუ სხვადასხვა სახის სამკაულებზე გაჩნდა აბრევიატურა WWJD, რომელიც ასე იშიფრება – "What Would Jesus Do" ("ქრისტე როგორლა მოიქცეოდა?"). ეს წარწერა მოწოდებულია გადააფიქრებინოს პატარებს სხვადასხვა უმსგავსოების ჩადენა. ამ "გამოგონების" ავტორი ერთ-ერთი მიჩიგანელი მღვდელი გახლავთ, მანვე მოიფიქრა ამ



შემოკლებული შეგონების განთავსება სხვადასხვა საბავშვო ნივთებზე. მრავალი ამერიკელი მშობელი დღესაც დარწმუნებულია "WWJD"-ს შემოქმედების ძალაში და გულმოდგინედ უმარჯვებს შვილებს ამგვარი წარწერით დამშვენებულ ტანსაცმელსა თუ სათამაშოებს.

## ახალი უნივერსალური ენა

ფილოლოგმა დიეგო მარანიმ ახალი უნივერსალური საერთაშორისო ენა შექმნა, რომელმაც, მისი აზრით, ღირსეული მეტოქეობა უნდა გაუწიოს დღემდე ასეთ ენად მიღებულ ესპერანტოს. ბატონმა მარანიმ იოლი გზა აირჩია – ადგა, ერთმანეთს შეურია ყველა მისთვის ცნობილი ევროპული ენა და მიღებულ ნაზავს "ესპერანტო"



უწოდა. ახალ ენას საცდელად გაზეთ "ლე სუარ ილუსტრეს" რამდენიმე სვეტი დაუთმეს, მოგვიანებით კი, როცა ინტერნეტში ევროპანტოს ბუნტი ატყდა, მისმა ავტორმა ამ ენაზე თანგმნა ისეთი საჭირო ტექსტები, როგორიცაა "მამაო ჩვენო", "მარსელიოზა" და სხვ.

ვინ იცის, ადვილი შესაძლებელია ევროპის ქვეყნებმა საერთო ევროვალუტასთან ერთად საერთო ევროენაც შემოიღონ და ერთ მშვენიერ დღეს ვინმემ ასე აგიხსნათ სიყვარული: "Ich turbo toi".

## მაინც წიგნმა გაიმარჯვა

ინგლისურმა კორპორაცია ბი-ბი-სიმ გადაწყვიტა დაედგინა, რომელი გამოგონება იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ბოლო ათი საუკუნის მანძილზე. გამოკითხვის შედეგად პირველი ადგილი დამაჯერებლად დაიკავა გერმანელმა იოჰან გუტენბერგმა, რომელმაც XV საუკუნის შუა წლებში პირველი წიგნი დაბეჭდა. სასიამოვნოა, რომ კომპიუტერების ხანაში ხალხს არ დავიწყებია წიგნები და მათი კითხვის სიკეთე. (უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვა იმათ შორის ჩატარდა, ვინც ინტერნეტით სარგებლობს). გამოკითხვის მეორე სტრიქონი "ელექტრიკოსმა" თომას ედისონმა დაიკავა. მეს[illegible] ლეონარდო და ვინჩიმ, რომლის მრავალ იდეას ჯერ კიდევ ელის პრაქტიკული ხორცშესხმა.

## მსოფლიოს გარშემო მთელი ოჯახით

რუსმა იახტსმენებმა ცოლ-ქმარმა გუსევებმა და მათმა სამმა ვაჟიშვილმა, 6 წლის ვანიამ, 13 წლის დანილმა და 18 წლის ჟენიამ 1992 წლის 15 აგვისტოს დაიწყეს მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო იახტით "ნახოდკა". ექვსი წელი იმოგზაურა ოჯახმა ზღვებსა და ოკეანეებზე. სამი წელი ფლორიდაში იცხოვრეს, იახტას კაპიტალური რემონტი ესაჭიროებოდა. უმცროსები ადგილობრივ სკოლებში მიაბარეს, მშობლები და უფროსი ვაჟი კი ფულის შეგროვებას შეუდგნენ, მუშაობდნენ. სამშობლოში დაბრუნების დრო რომ დადგა, უფროსმა შვილებმა ამერიკაში დარჩენა ამჯობინეს და მარტო ვანია გამოჰყვა დედ-მამას მშობლიურ ნახოდკაში.





ეს სამი იგუანა ისე გარინდებულა ფოტოობიექტივის წინ, თითქოს "საოჯახო ალბომისათვის" იღებს სურათსო. ნამარხი ცხოველი იგუანა იმ უზარმაზარი ხვლიკების წარმომადგენელია, რომლებიც უძველეს დროში ცხოვრობდნენ დედამიწაზე. შესახედად საშინელი, სინამდვილეში კი სრულიად უწყინარი იგუანები დღესაც ეკვადორის კუთვნილ დანარჩენი სამყაროსგან იზოლირებულ ჰალაპაგოსის კუნძულებზე ბინადრობენ და ალბათ სწორედ ამის წყალობითაც გადაურჩნენ სრულ გადაშენებას. თავის დროზე კუნძულები, უნიკალური ფლორისა და ფაუნის ეს ბუნებრივი ნაკრძალი ჩარლზ დარვინს მოუნახულებია, რომელსაც სწორედ აქ მიუკვლევია ევოლუციის თავისუფალი თეორიის საწყისი მასალისთვის. 1959 წელს იუნესკოსა და ეკვადორის მთავრობის ძალისხმევით ჰალაპაგოსის კუნძულებზე ჩარლზ დარვინის ფონდი დაფუძნდა, რომლის მზრუნველობის სფეროში იგუანებიც არიან მოქცეული.



# თამარ მეფის ჯვარი

თამარ მეფის ბაჯაღლო ოქროს გულსაკიდი ჯვარი შედგება დახვეწილი თლილი ნახევრად ოვალური ფირუზისაგან, რომლის კიდეებზედაც, აგრეთვე ცენტრში მიმაგრებულია ხუთი მსხვილი ლალი, რომელთაგან სამი აღმოსავლური წარმოშობისაა, ჯვრის მკლავებს შორის დამაგრებულია ოთხი დიდი ზომის მარგალიტი, ორი მარგალიტი სახსრის გვერდებზეა მოთავსებული, რაც აერთებს ჯვარს აჟურულ მძივთან. ზურგზე მოთავსებული სევადით შესრულებული ასომთავრული წარწერა იხსენებს მეფეთა-მეფეს თამარს. ჯვრისთვის დამზადებული იყო საგანგებო ბუდე, კოლოფი — ტიხრული მინანქრით შემკული სტავროთეკა. 1921 წელს ემიგრაციაში წასულმა მენშევიკურმა მთავრობამ სხვა განძეულობასთან ერთად თამარისეული ჯვარიც გაიტანა საფრანგეთში, იგი 1945 წელს დაუბრუნდა საქართველოს. თავისთავად ჯვარი ძვირფასია, როგორც ხელოვნების უნიკალური და უძველესი ნიმუში, მაგრამ უფრო ძვირფასი ყოველი ქართველისათვის ეს ჯვარი იმიტომ არის, რომ დიდ თამარს ეკუთვნოდა. თურმე მეფე არასდროს იშორებდა მას...

... 25 წელი ედგა მცველად ექვთიმე თაყაიშვილი 1921 წელს საფრანგეთში გატანილ სრულიად ქართველთა საგანძურს. ჭარმაგი მეცნიერი უდრტვინველად ითმენდა სიცივესაც, შიმშილსაც, მამაცურად იგერიებდა ჩვენი განძის შექენის მსურველთ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთ, რომლებსაც მისი ექსპროპრიაცია ჰქონდათ განზრახული, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნაშიერთ, რომლებიც განძის ნაწილზე აცხადებდნენ პრეტენზიას.

აი, რას წერდა ექვთიმე თაყაიშვილი 1935 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსს ვ. ბერიძეს: "... თქვენ კარგად იცით, თუ მე როგორ მიყვარს ქართულ სიძველეებზე მუშაობა, მაგრამ ჩემს თავს ნებას არ მივეცი, რომ რომელიმე ნივთი ან ხელნაწერი ჩამომელო და ჩემი შესწავლის ობიექტად გამეხადა იმ შიშით, რომ ის ხელნაწერი ან ნივთი არ დამკარგოდა; ზოგიერთმა პარიზის პროფესორმა და განსაკუთრებით ცნობილმა ბიზანტიოლოგმა გ. მილემ მთხოვეს, ნება დამერთო ნივთები ფოტოგრაფიულად გადაეღო თავისი ხარჯით, მაგრამ მე უარი ვუთხარი და აუუხსენი, რომ ყუთები მუზეუმების ბეჭდებით არის დაბეჭდილი და გადმოცემული შესან-





ახად და ჩვენ მოვალე ვართ, ესე გაუხსნელად პატრონთ ჩავაბაროთ-თქო"... ერის, მისი ისტორიისა და კულტურის დიდ მოამაგეს სწამდა რომ დადგებოდა დრო, როცა საგანძური საქართველოში დაბრუნდებოდა.

და ის დროც დადგა.

განძის წამოსაღებად პარიზში ჩასულ საქართველოს წარმომადგენლებს ყველა ნივთი ხელუხლებელი, ის კი არა, გამრავლებულიც კი დახვდათ, მათი ერთგული და უანგარო მცველი კი — უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში. სამშობლოში გამოსამგზავრებლად მას წინდები და ცხვირსახოციც კი საგანგებოდ უყიდეს. მაგრამ, განა დიდ ექვთიმეს ჩაცმა-დახურვისა თუ ჭამა-სმის დარდი ექნებოდა?!

1945 წლის 11 აპრილს ქართული საგანძურით დატვირთული თვითმფრინავები თბილისში ჩამოფრინდა. მშობლიურ მიწასთან ხანგრძლივი და ნებაყოფლობითი განშორების შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილმა კვლავ შედგა მშობლიურ მიწაზე ფეხი.

მერე სამთავრობო კომისიამ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით ნუსხის მიხედვით ჩაიბარა ქართული კულტურის ფასდაუდებელი ნიმუშები. ფრთხილად იღებდნენ ყუთებიდან უძველეს წიგნებს, ხატებს, ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ქმნილებებს... გულის კანკალით იღებდა ხელში ნივთს ცრემლმორეული მეცნიერი, რომლის მამულიშვილური თავდადების წყალობით არ დაეკარგა საქართველოს მისი სულიერი კულტურის უდიდესი ნაწილი. თითქოს მშვიდად უნდა ყოფილიყო ბატონი ექვთიმე, მან ხომ პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე, მაგრამ, იქ მყოფთაგან სწორედ ის ღელავდა ყველაზე მეტად. აი, მორიგ ყუთს ახადეს თავი. მასში, ნუსხის მიხედვით, სხვა განძეულობასთან ერთად თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარიც უნდა ყოფილიყო.

უნდა ყოფილიყო, მაგრამ... ყუთში ჯვარი არ აღმოჩნდა. ყველა გაოგნდა.

ღმერთო! ეს როგორ?! თამარისეული ჯვარი! ნუთუ?..

თაყაიშვილი დაბნეული შეჰყურებს ხან იქ მყოფთ, ხან დაცარიელებულ ყუთს. ხელახლა გადააწყეს და ყურადღებით დაათვალიერეს ყველა ნივთი. სასოწარკვეთილ მოხუცს ამშვიდებდნენ, ნუ ღელავთ, აქ სადმე იქნება, უთუოდ იქნებაო.

ჯვარი სხვა ყუთში აღმოჩნდა. დამშვიდდა საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი. საგულეში ჩაუდგა გადაქანცული გული.

ექვთიმე თაყაიშვილს აკანკალებულ ხელის გულზე ედო თამარ მეფის ნაქონი გულსაკიდი ჯვარი, რომელსაც მეცნიერმა პირველად ხობის მონასტერში შეახო ხელი, სადაც იგი ინახებოდა. თვალში მას ცრემლი ედგა...

# მე რომ 1000 დოლარი მქონდეს...

**საკონტროლო წერა თემაზე: „მე რომ ათასი დოლარი მქონდეს“... წერენ თბილისის №1 გიმნაზიის მეხუთეკლასელები**

პირველს მათხოვრებს დავეხმარებოდი,. უპატრონო ბავშვებს სახლებს ავუშენებდი, ყოველ ზაფხულს დასასვენებლად წავიყვანდი ან ბათუმში, ან კიკეთში, კარგად ჩავაცმევდი, სკოლაში ვატარებდი. შემდეგ, მამაჩემს და ჩემს ძმას მანქანას ვუყიდდი. დედაჩემს და მამიდაჩემს უამრავ კაბებს ვუყიდდი. მაღაზიას ავაშენებდი და მისი დირექტორები დედაჩემი და მამიდაჩემი იქნებოდნენ. ბებიაჩემს დიდ დაბადების დღეს გადავუხდიდი. ბაბუაჩემს ორხევში დიდ სახლს ავუშენებდი. შემდეგ პირველ სკოლას ვიყიდიდი და პრეზიდენტად მე ვიქნებოდი. ვინც ორიანებს მიწერს, ყველა მასწავლებლებს გავყრიდი, კარგ მასწავლებლებს მოვიყვანდი და ერთი ორიანიც არ ეყოლებოდა ჩემ სკოლაში ბავშვებს. შემდეგ უცხოეთში წავიდოდი და ვისწავლიდი. იქედან კარგ მასწავლებლებს ჩამოვიყვანდი. შემდეგ პირველ სკოლაში ბუფეტს გავაკეთებდი და უფასოდ ვაჭმევდი ბავშვებს ნაყინებს.

**თეონა შვანგირაძე**

... მათხოვრებს დავეხმარებოდი, თბილისს გავალამაზებდი. ვიყიდიდი ბანკს, მერე მანქანას, წავიდოდი უცხოეთში, იქ კომპიუტერს, ენებს და იქაურ ენას ვისწავლიდი. მერე ჩამოვიდოდი თბილისში და სკოლას გავალამაზებდი. მეორე ნაწილს ავაშენებდი, ბუფეტს გავაკეთებდი, ბასეინს ავაშენებდი. მერე ჩემს თავს მივხედავდი. სახლს ავიშენებდი თავისი ბასეინით, დიდ ეზოს გავუკეთებდი თავისი გარაჟით და შიგნით ჩემს მანქანას შევაყენებდი.

**გიორგი ზაალიშვილი**

წავიდოდი დისნეილენდში და წავიყვანდი ჩემს მეგობრებს, მაგალითად, ბექა ლეგურაშვილს და თითქმის ყველა გოგოს. მას, ოღონდ მომეცით 1000 დოლარი და მერე გავაკეთებ.

**გიგა გლუნჩაძე**

ვიყიდიდი ჩემთვის საჭირო ნივთებს, მათხოვრებს მივცემდი საჭმლის ფულს, ვიყიდდი ველოსიპედს, კომპიუტერს. ჩემს დედმამასაც დავეხმარებოდი. ზღვის პირას გავაკეთებდი ერთ პატარა პარკს, რომელშიც პატარა ბავშვები ისეირნებდნენ და მე თვითონაც კარგად გავერთობოდი. დავპატიჟებდი ჩემს მეგობრებს.

**ლევან ძნელაძე**

ვიყიდიდი ბინას, დავეხმარებოდი გაჭირვებულ ბავშვებს, კაცებს და ქალებს. პირველ რიგში ჩემს მშობლებს დედას, მამას და დას. მე ძალიან მიყვარს სკოლა და მასწავლებლები. ამ დახარჯულ ფულიდან რაც დამრჩებოდა, მივცემდი მასწავლებლებს და დირექტორს. ლტოლვილებს დავეხმარებოდი ყველა გაჭირვებაში. ჩემს ბებიას და ბაბუასაც დავეხმარებოდი. ვიყიდიდი ჩემთვის ყველა ნივთებს. დანარჩენი ფულით დავეხმარებოდი ავადმყოფებს და აგრეთვე დავეხმარებოდი ჩემს მამიდებს.

**თორნიკე ასლანიკაშვილი**

... ავაშენებდი საკუთარ პურის ქარხანას, იმიტომ, რომ სახლში არის სულ პურის პრობლემა და ამიტომ არ ყიდულობენ ჩემთვის სათამაშოებს, მაგრამ ამ პურის ქარხანას ექნება თავისი შემოსავალიც.

**ვახტანგ ქოჩორაძე**

დავეხმარებოდი გაჭირვებულებს. ვუყიდდი მათ სახლებს. რაც დამრჩებოდა, ჩემს ნათესავებს მივცემდი. მე ვიცი, რომ ღმერთი ამ მადლს დამიფასებს და ერთიათასად დამეხმარება და განმიხორციელებს ჩემს სურვილებს. ამიტომ დაწერა ქართველმა ბრძენმა შოთა რუსთაველმა:

"რასაცა გასცემ, შენია,
რაც არა, დაკარგულია".

**თამარ გრძელიშვილი**

ეგრევე წავიდოდი მოსკოვში, სადაც მამა მუშაობს და მოულოდნელ სიურპრიზს გავუკეთებდი. მსოფლიოში ყველა ქვეყანას მოვივლიდი და ცნობილი გავხდებოდი. ჩემი სურვილია, რომ წავიდე საფრანგეთში. დედას შუბას უყიდიდი, მამას უყიდიდი პალტოს და დუბლიონკას, ბებოს უყიდიდი ლამაზ კაბას და ლამაზ სამაჯურს, პაპას უყიდიდი პლაშს და საათს. და მინდა ჩემი ცხოვრების მანძილზე გახარებული ვყოფილიყავი ჩემი ძმით და ჩემი დედ-მამით.

**სოფიკო გოგიაშვილი**



დავეხმარებოდი ღარიბებს რითაც შემეძლებოდა, ვისეირნებდი კლასელებთან და მეზობლებთან თბილისობაზე, დღეობებზე და სხვა კარნავალზე. ვიყიდიდი ტანსაცმელს, წავიდოდით კონცერტებზე და თეატრებში. ვიყიდიდი ბურთს და იმით ვითამაშებდით. ბოლოს დავრჩებოდი სულ ცარიელი.

**დათო დავითულიანი**

გაჭირვებულებს დავეხმარებოდი, წავიდოდი საზღვარგარეთ, შეყვარებულს კაფეში დავპატიჟებდი, ტენისის კორტებზე შევიდოდი თამაშისთვის, რომელიც ფული ღირს, ლადოს და ვანიკოს ფეხბურთის ბილეთს ვუყიდდი და ვილეოს ვიყიდდი, ცინცაძეს სონის ვუყიდდი, ვიყიდდი კარგ როლიკებს, საფრანგეთის კარგ კეპკას ვიყიდდი, ზაფხულში ქობულეთში დავისვენებდი. აბა, მეტი აღარ დამრჩა.

**გიორგი მეზურნიშვილი**

პირველ რიგში, ცეკვისთვის ფორმას ვიყიდდი, რადგანაც ქართული ხალხური ცეკვები ძალიან მიყვარს.

გაჭირვებულებს დავეხმარებოდი. ამ ყველაფერს რომ მოვრჩებოდი, თუ ფული დამრჩებოდა, სადმე საქართველოს საზღვრებს გარეთ, მაგალითად, დისნეილენდში წავიდოდი. ეს ალბათ ყველა ბავშვის ოცნებაა. ან სულაც, ეგვიპტეში პირამიდებს ენახავდი. ენახავდი ეიფელის [illegible] ფლების ქანდაკებას, ან სულაც, ვარძიას ენახავდი, საქართველოს მშვენებას.

**ანა ქვინტრაძე**

ყველა გაჭირვებულს დავეხმარებოდი. ყველას თანაბრად გავუნაწილებდი. სკოლას დავეხმარებოდი დარბაზის აშენებაში. ჩემს მეგობრებს სასწავლო ნივთებს ვუყიდიდი და საქართველოს ცოტათი მაინც დავეხმარებოდი. 8 მარტს მანდილოსნებს ყვავილებს დავურიგებდი. ექსკურსიაზე წავიყვანდი ჩემს კლასელებს და იქ მუხის ქვეშ, წყაროს გვერდით ულამაზეს ბუნების წიაღში მოვილხენდით. ვიყიდდი სურათებს კლასის გასალამაზებლად.

**გიგა ადეიშვილი**

მოვახმარებდი მათხოვრებს, ლტოლვილებს და სხვა გაჭირვებულებს, შევწირავდი ეკლესიებს და ტაძრებს ფულს. ჩემს კლასელებს დავპატიჟებდი ფილარმონიაში საცილის ზეიმზე და ვიმხიარულებდი, ხოლო რაც დამრჩებოდა, ჩემს ოჯახთან ერთად წავიდოდი ამერიკაში, სადაც ენახავდი თეთრ სახლს.

**ნათია გუგეშაშვილი**

დავეხმარებოდი გაჭირვებულ ადამიანებს, კიდევ დავეხმარებოდი ბავშვთა სახლებს, კიდევ დანგრეულ გზებზე ასფალტს დავაგებდი, ცოტა საქართველოს მოვაწესრიგებდი, როგორც დღეს მტკივა გული, ისე აღარ მეტკინებოდა. გავაახლებდი ეკლესიებს, კიდევ შევწირავდი ფულს საავადმყოფოებს და თუ ფული დამრჩებოდა, მოვახმარდი ჩემს კლასელებს.

**სალომე ალადაშვილი**

ჯერ დედაჩემს მივცემდი, რადგან ესპანეთში მიდის. შემდეგ ჩემს კლასელებს თბილისობაზე წავიყვანდი. შევიდოდი ეკლესიაში, დავანთებდი სანთელს და ზიარებას დავესწრებოდი. დავეხმარებოდი გაჭირვებულებს. მამაჩემს მივცემდი, რათა სამსახური ეშოვა. ვიყიდიდი "როლიკებს", ცოტას ჩემს დას მივცემდი, რომ საკონცერტო ფეხსაცმელი ეყიდა.

**ილია ჭკუასელი**

ალბათ დადგება ისეთი დღე, რომ ათასი დოლარი მექნება და ჩემს ჩანაფიქრებს განვახორციელებ. პირველ რიგში, მინდა გაჭირვებულ ხალხს დავეხმარო. საწყალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცები პურის ფულისათვის დღედაღამ ქუჩაში არიან. მოხუცები უფრო მეცოდება. მოგი ინვალიდია და გაზეთების გაყიდვაც არ შეუძლია. ნაწილს საავადმყოფოს და ნაწილს ეკლესიებს შევწირავდი და ღმერთის შეწევნა მექნებოდა. ხოლო დანარჩენ ფულს ჩემს ოჯახთან ერთად გემოზე დავხარჯავდი. ღმერთმა ქნას, რაც ჩავიფიქრე, იმის გაკეთება შევძლო.

**თამუნა შავშიშვილი**

მართალია, ცოტაა, მაგრამ ჩემს სურვილებს მაინც აკმაყოფილებს.

პირველ რიგში დედას დაბადების დღისთვის (ერთი წელია ვაგროვებ ფულს, ჯერ 4 ლარი მაქვს) საჩუქარს ვუყიდდი.

ნახევარს ბებოს და პაპას მივცემდი. ეკლესიაში ყოველ დღე ვივლიდი. ჩემს ძმას ლუდის კურტკას ვუყიდდი. ჩემს ბიძაშვილებს, ყველას 50-50 დოლარებს დავურიგებდი. ბინისთვის და მანქანისთვის, არა მგონია, ფული დამრჩეს.

**ნათია დუნდუა**

დავეხმარებოდი ყველა გაჭირვებულს, ჩემს ოჯახს, ვიყიდიდი ფეხსაცმელებს, მამას ვუყიდიდი შარვალს, ჩემს ძმას — "როლიკებს", დედას — საყურეებს. ამხანაგებთან ერთად კაფეში წავიდოდი. საკლასო ოთახისთვის ვიყიდიდი სურათებს, ჯვარს და საათს. ყველა თანაკლასელს, ვისაც წიგნი არა აქვს, ვუყიდიდი. ავაშენებდი პატარა ეკლესიას.

**თორნიკე მელაძე**

ჯერ რაც მთავარია, დავაბანდებდი ბიზნესში და როდესაც რასაკვირველია, მოვიგებდი, შევუდგებოდი საქმეს, ვიყიდიდი ისეთ ტანსაცმელს, რომელიც ყველაზე ძალიან მომეწონებოდა და ჩემს მშობლებსაც სურვილებს ავუსრულებდი. ჩემს ძმას ვუყიდიდი იმდენ ვიდეოკასეტას, რამდენსაც მოისურვებდა. გზაზე შემხვედრ მათხოვარს ხუთ ლარიანს მივცემდი და ვეტყოდი, რომ აღარ ემათხოვრა და სამსახური მოეძებნა. აგრეთვე ჩემს კლასს ვუყიდიდი რუკას და სურათებით გავამდიდრებდი. ასეთი არის ჩემი სურვილი და იმედი მაქვს, როდისმე ამისრულდება.

**ირაკლი მჭედლიშვილი**

უპირველეს ყოვლის, დავეხმარებოდი გაჭირვებულ ხალხს. მერე კი ვიზრუნებდი ჩემს თავზე. ჯერ ავისრულებდი ჩემს ერთადერთ ოცნებას, შევიძენდი ცხენს და ჩავიყვანდი სოფელში. მაშინ ჩემზე ბედნიერი არავინ იქნებოდა. მე ამის გარდა კიდევ მაქვს ოცნება. სოფელში, სადაც მე ზაფხულობით ჩავდივარ ხოლმე, ბავშვები ყოველთვის ვმართავთ წარმოდგენებს. ეს არ გეგონოთ უბრალო რაღაცა, ჩვენ მართლა დიდ და ლამაზ წარმოდგენებს ვმართავთ ლამაზი გრიმებითა და სპეცეფექტებით. ამიტომაც ყოველთვის გვიჩნდება შენობის პრობლემა, ამიტომაც ამ ათასი დოლარით ავაშენებდი პატარა შენობას სადაც წარიმართებოდა ჩვენივე მოგონილი, სასაცილო დადგმები. ამის გარდა მეც და ჩემს ნათესავებსაც ბევრი საჩუქრებით დავასაჩუქრებდი. ახლა აღარ ჩამოვთვლი წვრილმანებს, ძირითადი ოცნება გაგიმხილეთ და წვრილმანები რომ ჩამოვთვალო, 10 ფურცელიც არ მეყოფა.

**ნატო გოლოშვილი**

დავეხმარებოდი გაჭირვებულებს. ძალიან ძნელია როცა გაქვს ფული, უყურებ და [illegible] [illegible] [illegible] "გლობ" კინოებზე. დანარჩენ ფულს [illegible] საქართველოს, მის გადარჩენას, რომ იყოს საქართველოში [illegible] [illegible], მაგრამ ათასი დოლარი ამისთვის არ ეყოფა.

ანი [illegible]

წავიდოდი EURO-2000-ის ფინალში, ჰოლანდიაში. მე ძალიან მომწონს ფეხბურთი და ჩემი საყვარელი ნაკრები არის ჰოლანდია. ვიყიდიდი SONY-ის და FIFA-98-ს. ვიყიდიდი ყველა ნაკრების და გუნდების ფორმებს. ვიყიდიდი ბურთებს.

**ლადო გიორგობიანი**

... პირველ რიგში, მე ვიყიდიდი ჩემს ბავშვობის ოცნებას, სიჩქარეებიან ველოსიპედს. მართალი რომ ვთქვა, ის ძალიან ძვირი ღირს: 365 ლარი (ჩემი ზომის), მერე, ვიყიდიდი ჩემი საყვარელი ფირმის (თხილამურების გამომშვები ფირმის) ლან-ის თხილამურებს (თავისი სამაგრებით, ჩექმებითა და ჯოხებით). ეს ყველაფერი ძალიან ძვირი სიამოვნებაა და მე ჯერ ვერ გამიბედია ამის ჩემი მშობლებისთვის თხოვნა. დარჩენილ ფულს არ ვიცი, რას ვუზამ. 300 დოლარი საკმაოდ დიდი ფულია.

**გიორგი კოზახიძე**

რაიმე საქმეში მოვიხმარებდი. პირველ რიგში მასწავლებლებს მივცემდი სამოც ლარამდე. შემდეგ ხელფასებს და პენსიებში დავარიგებდი, რაც მორჩებოდა, ჩემი იქნებოდა და ჩემთვის საჭირო რაღაცეებს ვიყიდდი.

**გურამ ბერიძე**

მასწავლებელო, ჯერ ათასი დოლარი მომეცით და მერე ვიფიქრებ.

ისე, ცოტა კიდევ რომ დამიმატოთ, წავიდოდი გერმანიაში, ბეთჰოვენის სახელობის კონსერვატორიაში. შემდეგ, კიდევ დიდი გეგმები მაქვს, მაგრამ, ფული რომ არ მყოფნის?

აი, კიდევ 100 ათასი დამიმატეთ, წავიდოდი ლოს-ანჯელესში, შევხვდებოდი ჩემს შეყვარებულს.

**მარიკა მიქელაძე**

პირველ რიგში გავამდიდრებდი ჩემს ოჯახს. შემდეგ ვიყიდდი სახლს და ჩემს გასარემონტებელ სახლს გავარემონტებდი. ვიყიდდი ლამაზ ახალ ავეჯს, ლამაზ ჩექმებს, დედას, ბებიას და მის დედას ჩავაცმევდი, დავახურავდი, საჭმელებსაც ვუყიდდი.

მე, ნინო მანჯავიძე, დავდივარ "ფიგურულ სრიალზე" და ჩემს საზღვარგარეთ გაგზავნას აპირებენ. მათ ჩემი იმედი აქვთ და თუ წავალ, მე მოვიგებ მსოფლიოს ჩემპიონატს და უფრო 1000-ჯერ მეტ ფულს ჩამოვიტან. ალბათ უკვე მალე წავალ.

მე იმედი მაქვს ჩემი ხელობის!!!

**ნინო მანჯავიძე**

უპირველეს ყოვლისა სადაც ჩემი ბიძაშვილია, იმ საავადმყოფოში დავეხმარებოდი ბავშვებს, რომლებიც მძიმე ავადმყოფები არიან. ჩემს ბიძაშვილს [illegible] და [illegible]. იმ ექიმებს ფულს მივცემდი, ვინც მას დახმარებას უწევს. დედას [illegible] [illegible] ფული [illegible] დასახმარებლად [illegible] [illegible] [illegible] მივცემდი ფულს. წავიდოდი მაღაზიაში, ვიყიდი ყველასთვის ფულს, [illegible] რაც დამრჩებოდა მივცემდი მათხოვარს.

კიდევ რომ მქონდეს მეტი ფული საავადმყოფოს კი არა დავეხმარებოდი, არამედ ყველა [illegible].

[illegible] [illegible]

გადავახურდავებდი ლარებში, დავეხმარებოდი მათხოვრებს, შემდეგ წავიღებდი სახლში 500-ს ლარს დავტოვებდი და დაუძახებდი ჩემს მეგობრებს, წავიყვანდი და ვუყიდიდი შოკოლადებს, გავართობდი. დანარჩენს დავხარჯავდი შრომაში. წავიდოდი სხვა ქვეყანაში და წავიყვანდი მამაჩემს. ვუშოვიდი კარგ სამსახურს, დავტოვებდი, შემდეგ კი მოვივლი მსოფლიოს, ვნახავდი, როგორი იყო საფრანგეთი, იტალია, ვენეცია, მაგრამ ყველაზე დიდხანს დავრჩებოდი იტალიაში, ჩემ საყვარელ ქვეყანაში. მერე შევიდოდი სპორტზე, მაგალითად, რაგბზე. კიდევ ვიყიდიდი სათამაშო კომპიუტერს, სონის და დავტკბებოდი ამ ცხოვრებით.

**დათო ბახტაძე**

ნახევარს გავუგზავნიდი ბებიაჩემს სოფელში და მივეხმარებოდი ბებიაჩემს, ბოსლის გაკეთებაში, ცოტასაც მე დავხარჯავდი და კიდევ ცოტა დოლარი დამრჩებოდა, ცხენს ვიყიდიდი და ერთ კოებოის ქუდს.

**დავით ყანჩაველი**

21.273

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა და რა ჰქვია რას და რას

კოკა — წყლის საზიდი თიხის ჭურჭელი, დიდმუცლიანი, დაბალყელიანი და ცალყურიანი.

ქვაბქოთანა — თიხის ქვაბი.

კოჭობი — პატარა ქოთანი.

ქოთანი — პირფართო, ყელგანიერი თიხის ჭურჭელი შეჭამანდის გასაკეთებლად.

სურა — მუცელგამობერილი და ყელწვრილი თიხის (ვერცხლის, ოქროს და ა.შ.) ჭურჭელი წყლისა, ღვინისა და მისთანათათვის.

ლიტრა — თიხის პატარა, ვიწროყელიანი წყლის ჭურჭელი.

ჩაფი —

ხელადა — ფართოპირიანი და მრგვალმუცლიანი და მრგვალმუცლიანი თიხის მომცრო ჭურჭელი (2 ლიტრის ტევადობის).

ჭინჭილა — დოქის მოყვანილობის თიხის პატარა სალვინე ჭურჭელი.





# მოზარდთა ჯვაროსნული ლაშქრობები

თუმცა ყველას გექნებათ წაკითხული თუ არა, გაგონილი მაინც, ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ, მაინც გავიხსენოთ მათი მოკლე ზოგადი ისტორია. ყველაფერი 1095 წელს დაიწყო, როცა პაპმა ურბან II ევროპელ რაინდებს "მაცხოვრის კუბოს" დახსნისაკენ და "წმინდა მიწის" (პალესტინის) ურჯულოთაგან განთავისუფლებისაკენ მოუწოდა. ჯვაროსნებმა სელჯუკებს იერუსალიმი წაართვეს, დააარსეს იერუსალიმის სამეფო. ამას კიდევ რამდენიმე ლაშქრობა მოჰყვა, მაგრამ საბოლოოდ ჯვაროსნულმა ომებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა და ისინი ქრისტიანობის ბურჯის – კონსტანტინოპოლის დაცემით დასრულდა.

გაცილებით მწირი ცნობები შემოინახა ისტორიამ მოზარდთა ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ. პირველი ასეთი ლაშქრობა 1212 წელს ორლეანის მახლობლად მდებარე სოფელ კლუას მცხოვრებმა მწყემსმა ბიჭმა სტეფანიამ წამოიწყო. ერთ დღეს მან თანატოლებს უამბო, რომ გზაზე უცნობი ბერი შეხვდა, რომელმაც შთააგონა მუსლიმანთა წინააღმდეგ ყრმათა ლაშქრობა მოეწყო და დაარწმუნა იგი, პატარების უმანკოება და სიწმინდე ცეცხლსა და მახვილზე უკეთ გაჭრისო.

პატარა სტეფანი დიდებული ორგანიზატორი გამოდგა. მის მიერ აღმართული დროშის ქვეშ ათასობით ახალგაზრდამ მოიყარა თავი საფრანგეთის სხვადასხვა კუთხიდან. ისინი, ძირითადად, არისტოკრატული ოჯახების შვილები იყვნენ. საოცარია, რომ ვერც მშობლებმა და ვერც ქვეყნის მმართველობამ ვერ შეაჩერეს დასაღუპად განწირული ბავშვები, ვერ აღკვეთეს მათი სასიკვდილო თამაში.

სტეფანის უწლოვან ლაშქარს რამდენიმე ბერი გაჰყვა, გარდა ამისა, მას ათასი ჯურის სალახანა და ბოგანოც აეკიდა. ერთ თვეში უწვერულმა მხედრიონმა მარსელს მიაღწია. გზაში დიდი დანაკარგი განიცადეს – ბევრმა ვერ გაუძლო ლაშქრობის მკაცრ პირობებს. რამდენიმე კვირა იყვნენ დაბანაკებულნი მარსელში ახალგაზრდა მეომრები და ვერა და ვერ გამოენახათ საშუალება ხმელთაშუა ზღვის გადასალახად და პალესტინაში ჩასასვლელად. მარსელელებს მობეზრდათ ამ აულაგმავი ლაშქრის ყურება და ქალაქიდან გაძევება მოინდომეს, მაგრამ, სწორედ მაშინ გამოჩნდა ორი გულისხმიერი ვაჭარი – ჰიუგო ფერეუსი და უილიამ პარკუსი. ქრისტესთვის წამებულთა კეთილშობილებით აღტაცებულებმა მათ რამდენიმე გემიც მისცეს და საჭმელ-სასმელითაც მოამარაგეს. დადგა ნანატრი წუთი – სტეფანის 5 000-მა თანამოაზრემ 7 ვეებერთელა გემი შეავსო. ხომალდები ზღვაში გავიდნენ და მალე ჰორიზონტს მიეფარნენ. როგორც შემდგომ გაირკვა... სამუდამოდ.

გავიდა რამდენიმე წელი. ევროპაში დაბრუნდა ერთი იმ ბერთაგანი, რომლებიც 1212 წელს ბავშვებთან ერთად გაუდგნენ პალესტინის გზას. მან საშინელი ამბავი აუწყა ხალხს. თავდაპირველად, მოზარდთა ფლოტილიამ კორსიკისა და სარდინიისაკენ აიღო გეზი, სადაც ძლიერ შტორმში მოხვდა. ორი გემი კლდეებს შეეჯახა, ჩაიძირა და 1500-მდე ბავშვი ზღვის ფსკერზე ჩაიტანა. დარჩენილმა ხუთმა ხომალდმა კი უცებ სამხრეთისკენ ქნა პირი და ორიოდე კვირაში ყრმა "ჯვაროსანთა" გასაკვირად ალჟირის(!) პორტს მიადგა. იქ მათ მონებით მოვაჭრე არაბები ელოდნენ. ვაჟები მონებად გაყიდეს, გოგონები მდიდარ არაბთა ხასებად აქციეს. ბერებს კი ბედმა გაუღიმა – ისინი ეგვიპტის სულთანმა იყიდა და წიგნების სათარგმნელად დასვა...

უმწიფარი ფრანგი ჯვაროსნების ამბავმა გერმანიამდეც მიაღწია. აქაც უმალ გამოჩნდა წინამძღოლი – ჭაბუკი ნიკოლასი, რომელიც სულ მალე გერმანელ "ჯვაროსანთა" კერპად იქცა. მისი არმია სტეფანის არმიის მსგავსად, სწრაფად შეიკრიბა. მასაც უამრავი არამზადა მიეტმასნა. ჯვაროსნობამანიამ მთელი გერმანია შეიპყრო. ნიკოლასის ლაშქრის გარდა, ხმელთაშუა ზღვისკენ კიდევ ერთი "არმია" დაიძრა. უზენაესი იდეით შეპყრობილ მოზარდთა კოლონები ევროპას მოედო. შემწეობის მოსახლეობის იმედით – ჯვაროსნებს დაგვაპურებსო – მათ ჩანთებში ლუკმაპურიც არ ედოთ. დაღლილ-დაქანცულ და დაავადმყოფებულ ბავშვებს კი ზედაც არავინ უყურებდა. ათასობით ახალგაზრდა დაიღუპა ჭაობებსა თუ მდინარეებზე გადასვლისას, ტყის ნადირი და ავაზაკთა ჯგუფები მუსრს ავლებდნენ პატარა "ჯვაროსნებს". "არმია" კი მაინც ჯიუტად მიიწევდა წინ. პატივმოყვარე გერმანელებმა არ ინდომეს ფრანგებთან შეერთება და გეზი იტალიისაკენ აიღეს. აპენინის ნახევარკუნძულამდე გზად მკაცრი და შეუვალი ალპები ედოთ. თოვლიანმა მთებმა, უღელტეხილებმა, სიცივემ და ქარიშხალმა გაანახევრეს ნიკოლასის რაზმი, მაგრამ დიადი მიზნისთვის დარაზმული ბავშვები სულიერად ვერ გატეხეს. ხელ-ფეხ მოყინულნი, მშივრები, გათოშილები მაინც წინ მიიწევდნენ...

ნიკოლასის რაზმმა გენუამდე მიაღწია, და ეს უკვე სასწაულს ჰგავდა. პატარები ზღვის ნაპირზე იდგნენ და მორიგ სასწაულს ელოდნენ, ელოდნენ, როდის დაიხევდა უკან ზღვა და როდის გაატარებდა ფსკერზე იერუსალიმისკენ მიმავალ მოზარდებს. ასე იდგნენ და ელოდნენ, სანამ მმართველობამ ქალაქიდან არ გაყარა. შეუდრეკელმა ნიკოლასმა ახლა პიზისაკენ წაიყვანა თავისი "არმია", შემდეგ რომისაკენ... დაქანცულმა, დამშეულმა ახალგაზრდებმა გზა ველარ გააგრძელეს და ახლომახლო სოფლებში გაიფანტნენ. ქერაკულულებიან გერმანელ გოგონებს ავი დღე დაუდგათ – ისინი პროფესიონალ მეძავებად აქციეს.

პატარა გერმანელთა მეორე კოლონამ ქალაქ ბრინდიზიმდე მიაღწია. ადგილობრივი არქიეპისკოპოსის დიდი ძალისხმევით "ჯვაროსანთა" ნაწილი უკან სამშობლოში დაბრუნდა. ყველაზე ჯიუტებს კი ღვთის მსახური იმაში დაეხმარა, რომ რამდენიმე გემი უშოვნა. მაგრამ, როგორც კი უმწიფართა "არმია" ზღვაში გავიდა, იქვე, ბრინდიზელების თვალწინ, ზღვამ პირი უყო და თითქმის ყველა დაიხრჩო.

ასე დამთავრდა პატარა "ჯვაროსნების" გაუგონარი ამბავი, რომლებსაც ვერაფერმა გადაახვევინა დასახული მიზნისაკენ მიმავალი ეკლიანი გზიდან. ის საშინელი მსხვერპლი კი, რომელიც მათ გაიღეს, დღემდე ცოდვად აწევს დიდი ჯვაროსნული ლაშქრობების სულისჩამდგმელებს.

მოამზადა
არჩილ ბერიკაშვილმა

# იზარდე, მწვანე ჯეჯილო...

**ნინო ხარატიშვილი** მე-9 კლასში იყო, პროზის წერა რომ დაიწყო. ორი წელი სწავლობდა გერმანიაში. თავისუფლად ფლობს გერმანულ ენას. დღეს იგი თბილისის მე-6 სკოლის მეათეკლასელია.

## გვიან იქნება

დიდი ბიჭიაო, მითხრეს. მერე რა? მე ის მიყვარს და ეს მთავარია. ყოველდღე მოვდივარ ბაღთან, სადაც 2 საათზე ჩაივლის ხოლმე. სადღაც მუშაობს. მემგონი იმ დღეს, როცა პირველად დავინახე, ვერ დავიძინე. ზუსტად მახსოვს როგორ გამოიყურებოდა მაშინ, როგორ უბზინავდა შავი თმა და როგორ აბრიალებდა ჭკუით სავსე თაფლისფერ თვალებს. მწვანე სვიტერი ეცვა. რა ძალიან უხდება მწვანე ფერი! მისი მისამართი, ტელეფონის ნომერი და წლოვანება ამხანაგისაგან გავიგე. მითხრა და თან დამცინა. არა უშავს, მისი გულისთვის დაცინვას კი არა, ტანჯვასაც მოვითმენ. დღეს ისევ უნდა ვნახო. არ შემიძლია, ერთ დღეს, რომ ვერ ვნახავ, უკვე ცუდად ვარ. ჩემზე 9 წლით უფროსია. არც კი იცის, რომ საერთოდ ვარსებობ ამ ქვეყნად. არც კი ვუნახივარ ღმერთო, არადა რამხელა მნიშვნელობა ექნებოდა ჩემთვის მის ერთ გამოხედვას, ერთ ღიმილს. მაგრამ არა უშავს, მეც ხომ გავიზრდები. აი, მოვედი. ჩემი საყვარელი, პატარა ბაღი. რამოდენიმე ყვავილი, სკამი და დამშრალი შადრევანი.

შეყვარებულების ადგილი! ალბათ ასეც ჰქვია. ველოდები, წამი საათად მეჩვენება. სადაც არის გამოივლის, მეფურ მზერას მოავლებს გარემოს და ჩაივლის. მე ვერც კი შემამჩნევს. რა ვარ მე მისთვის, ვინ ვარ? არავინ და არაფერი! მხოლოდ ერთი წამით შევხედავ და ამ ერთი წამისთვის კიდევ 24 საათი მომიწევს ლოდინი.

ღმერთო, როგორ მწყურია მისი დანახვა! თუნდაც ერთი წამით! წიკ-წიკ, წიკ-წიკ – იძახის ჩემი მაჯის საათი. ნეტავ, მას სადღა ეჩქარება? რომ ვუფიქრდები, სისულელეა იმ ერთი წამის მოლოდინში აქ ჯდომა, უაზრობა და დამცირებაა! მაგრამ მერე, როგორც კი გამოჩნდება და დავინახავ, დამცირება აღარ მადარდებს და ის წამი ყველაზე ბედნიერი ხდება ჩემს უაზრო ცხოვრებაში. აი, ვიღაც მოდის. არა ეს ის არაა! არა, ის რომ იყოს, შორიდანვე ვიგრძნობდი. მართალი აღმოჩნდი. ვიღაც მოხუცი ქალია, ხელში ჩანთა უჭირავს. აი, ეს კი ნამდვილად ის არის, მისი ფეხის ხმაა, მაგრამ... მარტო რომ არაა? ვინ არის ის... გვერდში გოგო მოჰყვება. ღმერთო, მას ხელი გადაუხვევია ამ გოგოსთვის. ერთ წამში შევიზიზღე მსოფლიო. რატომ? კი მაგრამ რატომ? ღმერთო, რა თბილი, მეოცნებე თვალებით უყურებს! არა, ისე რაზე ვბრაზდები?! ის არც კი მიცნობს და ვითომ რატომ არ უნდა ჰქონდეს სიყვარულის უფლება? ჩაიარეს. ცრემლიან თვალებს ვალევენებ. როგორც პატარა მიგდებული ლეკვი, ისე ვდგავარ კუთხეში და თვალს ვაყოლებ. აი მთლიანად მიეფარნენ თვალს... დავრჩი მარტო! სულ მარტო! რა საშინელი გრძნობაა, ღმერთო, რა საზარელი! მივუყვები ქუჩებს. მალე ისინი თოვლით დაიფარებიან. შემდეგ თოვლი გადნება და ყვავილები ამოვლენ, ყვავილებს ნაყოფი მოჰყვება. დრო გავა და ის შემხვდება, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იქნება...

**ნ. ხარატიშვილი**
**9. 13. 97 წ.**

**ბორის ჯიშკარიანი** თბილისის 26-ე საშუალო სკოლის მესამე კლასელია. ჯერჯერობით ყველა საგანს შორის გამორჩევით მათემატიკა უყვარს, თუმცა მომღერლობას აპირებს.







ნიკოლოზ მელქაძე თბილისის 126-ე საშუალო სკოლის პირველ კლასში სწავლობს და საოცარ ლექსებს წერს.
ნიკას ძალიან უყვარს ბუნება, ვაჟა-ფშაველას ლექსები და რევაზ ინანიშვილის მოთხრობები.

## თეთრთმიანი ქალები

თეთრი სახლის კარს შევაღებ,
ნეტავ ვისგან ვპოვე კლიტე?
შევალ, შიგნით დამხვდებიან
თეთრთმიანი ქალები —
თეთრი გულით, თეთრი კალთით,
თეთრი სულის აფრებით.
ნეტავ კიდევ მეყოლება მოალერსე
ქალები?
ლამაზებო, კეთილებო, გულს ნუ
მიკლავთ, მითხარით!
ან ეს ლექსი მაინც ნახეთ,
ალბათ მოგეწონებათ.
სახლის კარებს რომ შევაღებ,
ნეტავ, ვისგან ვპოვე კლიტე?
შევალ, შიგნით დამხვდებიან
მომღიმარი თვალები,
ალბათ, ღმერთმა თუ მიბოძა
თეთრმიანი ქალები.

## ჯიუტი ვაშლი

ჩემს გულში გაჩნდა ერთი იმედი,
რადგან მიყვარდი, რადგან გიყვარდი.
რომ დამინახე, გაწითლდი როგორც,
ჯიუტი ვაშლი.
რომ დაგინახე, მივხვდი, რომ გულში
ტყუილად ვგოდებდი.
მიეხვდი, რომ ვაშლი, ჯიუტი ვაშლი
ისევ მიყვარდა.

## გახსენება

5 წლ. 11 თვ.

გამახსენდება ის გულის ცეცხლი
გამახსენდება ის სიყვარული
ეჰ, როგორ მინდა, რომ შეეცვალო ეს
სათაური...
გულის ხმაურით გამახსენდები,
გამახსენდები ისეთი გულით...
ეჰ, როგორ მინდა კიდევ მახსოვდე,
მახსოვდე მარად, სულით და გულით.

***

6 წლ. 1 თვ.

წვიმდა და ციდან ცრიდა,
შენ რომ მოხვედი ქოლგით,
როგორ გიხდებოდა
წითელი ქოლგა და ლურჯი
საწვიმარი.
შენ გიყურებდი, შენ კი ვერ მნახე.

## ჩემო პრინცესა!!!

ჩემო სიცოცხლევ, აღვდგები სულით
გაკოცებ როგორც, აკოცებს ქარი
ბრძენს თუ პრინცესას.
როგორ მიყვარხარ, რაში გავცვალო
ეს სიყვარული — ფულში თუ გულში,
თუ სიცოცხლეში?!
შემხვდა პრინცესა, რომელიც მიყვარს
და მეყვარება სიცვდილის წამსაც!

## ნუ მიმატოვებ

6 წლ. 1 თვ.

ცეცხლივით ანათებს
ჩემი სიყვარული,
მართლა ცეცხლი არის
თუ ელვარება?
როგორ მიყვარხარ
ნინო, სიზმრად გხედავ
თვალებს დავხუჭავ
და დაგიმალავ.
ჩემი ცეცხლოვანი გული ანთია
და არ ჩაქრება სიკვდილის წამსაც
ნუ მიმატოვებ, ნუ მიღალატებ,
ნუ მიმატოვებ სიკვდილის წამსაც.

## პატარა ქართველი

მე პატარა ქართველი ვარ,
როცა დიდი გავიზრდები!
ჩემს საყვარელ დედას ვფიცავ
წინ ნურავინ დამიდგებით:
ნურც თათარი, ნურც მონღოლი,
ნურც რუსი და ნურცა თურქი.
მე პატარა ქართველი ვარ,
მაგრამ გულით, დიდზე დიდი.

***

6 წლ. 2 თვ.

საქართველოში ბევრი ტიროდა,
და ეს შენ იცი...
და ღმერთმა მოავლინა ქვეყნად
თამარი.
აყვავდა ვაზი, ამაღლდა მთები.
ამღერდა გული, ამაღლდა სული.

***

5 წლ. 11 თვ.

ფათერაკმა გამოსჭყივლა
არსობისა დედაენას
დედაენას, დედაენას
დედაენას, ქართველის დედას.
ანბის ხატმა გამოისხა
მზე და რწმენა მომავლისა
ქართველი ვარ და არ ვტოვებ
საქართველოს მე ჩემს მიწას.

***

5 წლ. 11 თვ.

საქართველოში დაიბადა ერთი
გულადი.
საქმეს დაძრავენ მყინვარნი მთები
მთები მაღალნი.
ერთ დიდ მთას მაინც გადაველახავდე
საქმეს ეწევა გული ძლიერი და
კლდე მაღალი

## ნინოს

როგორ მიყვარხარ, ნინო, მენატრები...
ჩემი გული არის ცეცხლოვანი,
ისევ ცეცხლოვანი, ისევ ცეცხლოვანი...
"რომ იცოდე ჩემი გულის დარდები
გეფიცები, ნინო, შემიყვარებდი!"
ისე მიყვარხარ, როგორც უყვარს
კურდღელს სტაფილო.

***

5 წლ. 11 თვ.

ია, ვარდ კოკორო,
თბილისო საყვარელო!
თბილისო სადარდელო!
ქართლის დედაო
კვლავ თასით ხელში
წინ გაუძღვები
თბილისის სტუმარს
შორიდან მოსულს
კვლავ რუსეთიდან.

## 8 მარტი

5 წლ. 11 თვ.

სამშობლო დედას ვუძღვენი
რისთვის მიღიმი, რისთვის
მიცქერი, რისთვის გინდა რომ
ეს სიხარული მიძღვნა, და
დედის კარი გამიღო ახლა.
რისთვის მეძებდი ერთი იმედით
გულის სასმისი გადავყარ ეხლა
სამშობლო არის დედის კარები
და ეს კარები შევაღე ეხლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორი შვილი ხარ

**1. რას ეტყვი მამას, რომელმაც იმის იმედით, რომ გაახარებდა, დაბადების დღეზე რაღაც ძველმოდური სვიტერი გაჩუქა?**

ა) "ნეტავ რომელი ნაფტალინიდან ამოიღე ეს?"

ბ) "აკი დამპირდი კოსმეტიკას გიყიდიო!"

გ) "გმადლობთ, შენ თითქმის გამოიცანი, რა მინდოდა".

დ) აკოცებ და ეტყვი: "მამა, რომ იცოდე მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი ასეთ სვიტერზე!"

**2. უქმეებზე არანაირი გეგმები არ გქონია, მაგრამ უეცრად ირკვევა, რომ შენი მშობლები ნათესავებთან მიდიან. რას გრძნობ?**

ა) ძალიან დავღონდები

ბ) მეგობრებს დავუძახებ და "მაგარ" დროს გავატარებთ.

გ) გეწყინება! ხომ შეეძლოთ წინასწარ ეთქვათ, სულ ასე აკეთებენ, ყველაფერი უდროო დროს იციან.

დ) საჭმელს ვინღა გამიკეთებს?

**3. კლასის დამრიგებელმა გამოგიცხადათ, რომ მალე მშობელთა კრება უნდა ჩატარდეს. ეტყვი თუ არა შენებს ამის შესახებ?**

ა) არაფერსაც არ ვეტყვი.

ბ) ჩემს მშობლებს კრების გარეშეც ლამის ყოველდღე იბარებენ სკოლაში.

გ) ვეტყვი! კრებებზე მე ყოველთვის მაქებენ.

დ) ჩემს მშობლებს არაფერი აქვთ ასაღელვებელი, მე ნორმალური მოსწავლე ვარ.

**4. სოფლიდან ბიცოლა უნდა გეწვიოთ, შენ კი ვერ იტან მას. მშობლები გთხოვენ თავი შეიკავო, უკმაყოფილება არ გამოამჟღავნო. როგორ მოიქცევი?**

ა) ვეცდები თავი შევიკავო.

ბ) დემონსტრაციულად გავიჯახუნებ კარს და წავალ.

გ) მოვითმენ და ღიმილით მოვისმენ მის უსასრულო რჩევა-დარიგებებს.

დ) პირში მივახლი ყველაფერს, რასაც მასზე ვფიქრობ.

**5. დედა შენი საყვარელი ნამცხვრის ცხობას გადაყვა, შენ კი დაგავიწყდა გაგეფრთხილებინა იგი , რომ წასასვლელი ხარ. როგორ მოიქცევი?**

ა) არხეინად წავალ.

ბ) მეგობრები მოითმენენ, მათი ნახვა ხვალაც შეიძლება.

გ) ვეტყვი დედას, წასასვლელი ვარ-მეთქი და ბოდიშს მოვუხდი.

დ) ვახშმად შინ დავბრუნდები, ოღონდ მეგობრებს დავურეკავ და გავაფრთხილებ, რომ შემაგვიანდება.

**6. სად და რა ვითარებაში ამჯობინებ ახალი წლის შეხვედრას?**

ა) ოჯახში, საახალწლო სუფრასთან.

ბ) საჩუქრები, ტკბილეული, ცეკვები, გართობა, ლხინი.

გ) ღამის პირველ საათამდე საახალწლო სუფრასთან მშობლებთან ერთად, მერე კი მეგობრებთან.

დ) "მაგარი" საღამო მეგობრის ბინაში.

**7. მაღაზიაში გადასარევი ფეხსაცმელი ნახე. სთხოვ მშობლებს, რომ გიყიდონ, თუ დაივიწყებ და აღარც კი ახსენებ?**

## ტესტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ერთხელ ვიდი, [illegible]

ბ) ვეცდები თვითონ მოვუყარო თავი საყიდელ ფულს

გ) გულს გავუწყალებ მშობლებს და მაინც ვაყიდინებ.

დ) სულ დავივიწყებ იმ ფეხსაცმელს. მშობლებმა თვითონ იციან, რა მიყიდონ და რა – არა.

**8. ატყობ, რომ სადაც არის ოჯახში ჩხუბი უნდა ატყდეს. როგორ მოიქცევი?**

ა) ჩემს ოთახში ჩავიკეტები და ყურის რადიოთი მუსიკას მოვისმენ.

ბ) ფეხსაც არ მოვიცვლი. ძალიან მიყვარს მძაფრი განცდები!

გ) ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მეხება თუ არა ეს მე.

დ) მაშინვე მეგობრებთან წავალ. ვერ ვიტან ოჯახურ გარჩევებს!

**9) მეგობართან ერთად კინოში აპირებ წასვლას, დედამ კი ბინის დალაგება გადაწყვიტა და გთხოვა უმცროსი ძმაც წაიყვანო თან. როგორ მოიქცევი?**

ა) მეტი საქმე არა მაქვს! ცხადია, არ წავიყვან.

ბ) წავიყვან, მაგრამ მთელი საღამო ვიბუზღუნებ.

გ) რა თქმა უნდა! მე ყოველთვის ვუჯერებ დედას.

დ) წავიყვან, აბა რას ვიზამ, ჩემი საყვარელი ძმა არ არის?!

**10. მეგობრებთან ხარ და ისე გაერთე, რომ სულ გადაგავიწყდა, რომ ჯერ კიდევ ერთი საათის წინ უნდა ყოფილიყავი შინ. რას მოიმოქმედებ?**

ა) კისრისტეხით გავიქცევი სახლში.

ბ) მშობლებს დავურეკავ ნუ ინერვიულებთ, ერთ საათში მოვალ-მეთქი.

გ) რას ვიზამ, წავალ სახლში და უხმოდ მოვისმენ მშობლების ჭკუის დარიგებას.

დ) მაინც დამაგვიანდა-მეთქი, ვიფიქრებ და მხიარულებას გავაგრძელებ.

**11. შენ ძალიან ხმამაღლა აყვირებ მაგნიტოფონს, დედას კი თავი სტკივა და მუსიკის გამორთვას გთხოვს, როგორ მოიქცევი?**

ა) ვიბუზღუნებ, მაგრამ ჩავუწევ.

ბ) ვურჩევ ყურებში თითი დაიცვას და ანალგინი დალიოს.

გ) მაშინვე გამოვრთავ მუსიკას.

დ) მეგობართან წავალ და იქ მოვუსმენ მუსიკას.

**12. მშობლებმა გადაწყვიტეს საკუთარი ხელით გაარემონტონ ბინა.**

**შენ თუ მიიღებ მონაწილეობას?**

ა) რა თქმა უნდა! ჩვენ ყველაფერს ერთად ვაკეთებთ.

ბ) სხვა რა გზა მექნება, მაინც მაიძულებენ.

გ) კი, შეძლებისდაგვარად მივეხმარები.

დ) არა! თვითონ წამოიწყეს რემონტი და რაც უნდათ, ის ქნან.

**13. მშობლები სოფელში აპირებენ წასვლას და შენ დიდი საღამოს მოწყობა განიზრახე. სთხოვ თუ არა დედ-მამას ნებართვას?**

ა) კი! გავაფრთხილებ და ვეტყვი, არ ინერვიულოთ, ყველაფერი წესიერად ჩაივლის-მეთქი.

ბ) რა საჭიროა?

გ) აუცილებლად! სხვაგვარად როგორ იქნება?

დ) რა აზრი აქვს?! სულ ერთია ნებას არ დამრთავენ. უმჯობესია ყველაფერი ჩუმად გავაკეთო.

**14. შენს საიდუმლოს თუ უზიარებ მშობლებს?**

ა) მშობლებს არაფერს ვუმალავ.

ბ) მხოლოდ მაშინ ვარ მშობლებთან გულწრფელი, როცა დარწმუნებული ვარ, რომ არ გამიწყრებიან.

გ) არა! საიდუმლოს მხოლოდ მეგობრებს ვუზიარებ.

დ) ზოგჯერ.

**15. შენ ვიდეოთი რაიმე სასიყვარულო მელოდრამის ნახვა გინდა, მშობლები კი კომედიას უყურებენ. როგორ მოიქცევი?**

ა) ავდგები და კასეტას გამოვცვლი.

ბ) ჯერ ყველანი ერთად ვნახავთ კომედიას, ერთიც ვნახოთ და საინტერესოა!

გ) გავბრაზდები და გესლიანი კომენტარებით შევამკობ მათ კომედიას.

დ) მშობლებს კომედია უნდათ? იყოს კომედია!

**16. ორი თვეა ერთ ბიჭს (გოგოს) ხვდები, მაგრამ მშობლებს არ მოსწონთ ის და ითხოვენ თავი დაანებო მას. როგორ მოიქცევი?**

ა) ვეცდები, რაც შეიძლება მარტო კარგი ვილაპარაკო მასზე.

ბ) ისე მოვიქცევი, როგორც მათ უნდათ.

გ) სულ ერთია, ჩუმად მაინც შევხვდები ხოლმე მას.

დ) მშობლების აზრს რას დავეძებ! ვისთანაც მინდა იმასთან ვმეგობრობ.

**ქულები და პასუხები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | 5 | 10 | 15 | 20 |
| 2. | 20 | 15 | 10 | 5 |
| 3. | 10 | 5 | 20 | 15 |
| 4. | 15 | 10 | 20 | 5 |
| 5. | 5 | 20 | 10 | 15 |
| 6. | 20 | 10 | 15 | 5 |
| 7. | 10 | 15 | 5 | 20 |
| 8. | 20 | 5 | 15 | 10 |
| 9. | 5 | 10 | 20 | 15 |
| 10. | 20 | 15 | 10 | 5 |
| 11. | 10 | 5 | 20 | 15 |
| 12. | 20 | 10 | 15 | 5 |
| 13. | 15 | 5 | 20 | 10 |
| 14. | 20 | 10 | 5 | 15 |
| 15. | 5 | 15 | 10 | 20 |
| 16. | 15 | 20 | 10 | 5 |

**80-130 ქულა.** საბრალო შენი მშობლები, ნეტავ როგორ გიტანენ! შენ შენს ნებაზე ცხოვრობ, რაც გინდა, იმას აკეთებ. არც მშობლების აზრი გაინტერესებს, არც მათი განწყობილება, პრობლემები და ჯანმრთელობის მდგომარეობა. არც ბინის დალაგებაში ეხმარები მათ, არც წასვლას ეკითხები და არც მოსვლას. ერთ ამბავს ტეხ, თუ შენ მიერ მოწონებულ ჩასაცმელს არ გიყიდიან. ისე რომ დაფიქრება გმართებს, გონს მოდი, იფიქრე მშობლებზე, შეიბრალე ისინი.

**135-205 ქულა.** სამაგალითო შვილი ნამდვილად არ გეთქმის. თუ რაიმე სურვილი არ აგისრულეს, იბუტები, შენს ოთახში იკეტები, ხმას არ იღებ, საჭმელზე უარს ამბობ, მშობლებს ნერვებს უშლი. დაფიქრდი, რატომ არა გაქვს მშობლებთან კონტაქტი, რატომ ვერ ეწყობა თქვენი ურთიერთობა? დაელაპარაკე მათ, მშვიდად აუხსენი ვითარება და გულს ნუ გაუხეთქავ შენი უაზრო პროტესტებით.

**210-220 ქულა.** მშობლები ამაყობენ შენით, შენ კი მათით. თქვენ საუცხოო ურთიერთობა გაქვს, ერთმანეთისა კარგად გესმით, არაფერს უმალავთ ერთმანეთს. თუ სადმე აპირებ წასვლას, ყოველთვის იბარებ, როდის დაბრუნდები, საოჯახო საქმეებშიც ეხმარები დედ-მამას. ერთი სიტყვით, კარგი შვილი ხარ!

**295-320 ქულა.** შენისთანა შვილი ყველა მშობლის ოცნება. ყველაფერს აკეთებ, რათა დედ-მამა ასიამოვნო, ყოველთვის ითვალისწინებ მათ აზრს, ანგარიშს უწევ მათ შეხედულებებს, მათთან შეუთანხმებლად ნაბიჯსაც არ დგამ, ცდილობ არ გააწბილო. ძალიან კარგი, მაგრამ მგონი, დროა დამოუკიდებლობაც გამოიჩინო, საკუთარი აზრი და შეხედულებები იქონიო, თორემ მშობლები ყოველთვის ვერ გადაგიწყვეტენ პრობლემებს.

იური იაკოვლევი

# წერილი პეტრარკას

მოთხრობა

დიდი იტალიელი პოეტი პეტრარკა ცოცხალი რომ ყოფილიყო, წერილს მივწერდი, იმიტომ, რომ მთელი დედამიწის ზურგზე მარტო ის გამიგებდა. ის არც დამცინებდა და არც ყველას დაუწყებდა იმის მოყოლას, რაც მე დამატყდა თავს. გამიგებდა და, შეიძლება, მეგობრებიც გავმხდარიყავით, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ რომში ფორუმზე იგი წითელი მანტიითა და დაფნის გვირგვინით შეამკეს. მე კი თავზე მოკლეკუდიანი ბერეტი მხურავს, მხრებს კი წყალამრიდი ქსოვილის ქურთუკი მიფარავს.

მე არასდროს მცნობია პეტრარკა, იმიტომ, რომ ის ექვსასი წლის წინათ ცხოვრობდა (ეს ჩვენ ისტორიაში გავიარეთ), მაგრამ ისე კარგად მაქვს წარმოდგენილი, როგორ შეხვდა იგი მშვენიერ ლაურას, თითქოს იმ მომენტში თვითონაც ქალაქ ავინიონში, წმინდა კლარას ტაძარში ვიყავი, სვეტს ამოფარებული ვიდექი და გაფაციცებით ვადევნებდი თვალს.

ტკაცატკუცით იწვოდა სანთლები, გუგუნებდა მძიმე ზარები, ჩაბნელებულ პატრონიკეში კი ბავშვის ხმით მღეროდნენ ანგელოსთა დარი მონაზვნები. მაშინ დაინახა სანთლების მოციმციმე შუქზე პეტრარკამ ლაურა. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რა ერქვა მას. როგორც კი თვალი ჰკიდა, უმალ ყველაფერი გაქრა: სანთლები, მონაზვნები, ზარები, წმინდანთა ხატები, მარმარილოს საფლავის ქვები. თვალწინ მხოლოდ მისი ნატიფი და ფერმკრთალი სახე (იმ დროში ფერუმარილი პატივში არ გახლდათ) ნანაობდა. თავს სირაქლემას ფუმფუშა ბუმბულით შემკული ფართოფარფლებიანი შლაპა და აფრის მსგავსი მანტილია უფარავდა. პეტრარკამ მისი დიდრონი შავი თვალები და მათში პატარა მზეების მსგავსი სანთლების შუქი დაინახა. პირი ოდნავ დაეღო და ისეთი ჩაწიკწიკებული კბილები მოუჩანდა, თითქოს მის ბაგეთ შროშანი ეპყრათო.

პეტრარკამ ლაურა დაინახა და მას იგივე დაემართა, რაც მე.

არა, მე წმინდა კლარას ტაძარში არ ვყოფილვარ. მე სკოლაში ვიყავი. მესამე სართულის დერეფანში მოვდიოდი (გეოგრაფიის მასწავლებელმა გამგზავნა რუკის მოსატანად) და ვარსკვლავიერი ცის გლობუსი მომქონდა, გლობუსი შავი იყო და ზედ ვარსკვლავების თეთრი წერტილები ჰქონდა. გლობუსი სადგარით მეჭირა, თავისუფალ ხელს კი ზედ ვუტყაპუნებდი და ვატრიალებდი... უეცრად დერეფნის ბოლოში გოგო დავინახე. თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია: ღმერთმა იცის, რამდენი გოგო დაბორიალობს დერეფანში! მაგრამ, როცა გავუსწორდი, შევკრთი და სუნთქვა შემეკრა. ვერ გამეგო, რა დამემართა. მაგრამ, რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდგი, მივხვდი: იმ გოგომ შემაკრთო. შუბლზე ნამგალივით მორკალული თმა ჩამოშლოდა, ტუჩები ოდნავ დასკდომოდა, ალბათ ქარისგან.

ჯერ გავუსწორდი, მერე კი გავცდი და გზა გავაგრძელე, მაგრამ რაღაც ძალამ მაიძულა გავჩერებულიყავი. უკან მოვიხედე. იმანაც მოიხედა და უეცრად ძალიან შემეცოდა, არა, ის კი არა, საკუთარი თავი შემეცოდა, თითქოს მის თვალებში ჩემი ცრემლები დავინახე. შავი გლობუსი ისე ძლიერად ჩავიკარი გულში, თითქოს მინდოდა ვარსკვლავებიანად გამეჭყლიტა. სკოლის დერეფანში არც სანთლები ტკრციალებდა და არც ზარები რეკდა. მარტო მუსიკის კაბინეტიდან ისმოდა სიმღერა კოცონებით აბრიალებული ლურჯი ღამეების შესახებ.

მან თავი დახარა, ალბათ ცრემლებისა შერცხვა, ერთხელ კიდევ შემომხედა და წავიდა. მე კი ვიდექი და თვალს ვერ ვაცილებდი.

ძვირფასო პეტრარკა, ჩვენ ორთავემ გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვით და სასტიკადაც დავისაჯეთ მის გამო. თქვენ უნდა დაგეძლიათ რიდი, უნდა მიახლოებოდით ლაურას და უმნიშვნელო რამ გეკითხათ, ვთქვათ:

— რა რიცხვია დღეს?

და მაშინ ლაურა გიპასუხებდათ:

— დღეს აპრილის მეექვსე დღეა.

თქვენ უმალ მოგეშვებოდათ გულზე და ან ხუმრობით ან სერიოზულად ჰკითხავდით:

— წელი კი რომელია ახლა?

ლაურა გაიღიმებდა და გიპასუხებდათ:

— უფლისგან ათას სამას ოცდა შვიდი წელი გახლავთ.

ასე გაეცნობოდით მთელს ავინიონში სათნოებით ცნობილ მშვენიერ ლაურას.

მაგრამ თქვენ დუმდით. გაქვავებულივით იდექით. მე კი ექვსი ასწლეულის შემდეგ გავიმეორე თქვენი შეცდომა.

ამ დროს სასწავლო ნაწილი მომიახლოვდა და მკითხა:

— აქ რას აკეთებ?

მე უაზროდ ვუპასუხე:

— ეს ვარსკვლავიერი ცის გლობუსია.

— ჰოდა, გაკვეთილზე წადი! შუა დერეფანში ნუ დგახარ. დროს ნუ აჭიანურებ.

გავბრუნდი და წავედი ჩემი გლობუსიანად. ბრმასავით მივდიოდი, ვერც კედლებს ვამჩნევდი, ვერც ფანჯრებს, ვერც მზის სხივებს.

კლასიდან ერთი ადამიანი გამოვიდა, გლობუსი კი სულ სხვამ მოიტანა. კლასში უბედური პეტრარკა დაბრუნდა. მაგრამ, ეს არავის შეუნიშნავს, ეგონათ, რომ ყველაფერი რიგზე იყო.



მე ვიცი, რომ თქვენ ყოველდღე დადიოდით წმინდა კლარას ტაძარში. ჩემი ლაურას შეხვედრის იმედით მეც მოვუხშირე მესამე სართულზე სიარულს. სათქმელი სიტყვები მზად მქონდა, მაგრამ, ის არა და არ ჩანდა. დერეფანში სხვა გოგონები დადიოდნენ, ისინი უცხოები იყვნენ ჩემთვის და ყველანი ერთმანეთს გავდნენ.

მე ვიცი, რომ ერთხელ ლაურას ტაძრის ქვის ფილებზე ხელთათმანი დაუვარდა. თქვენ უმალ მიიჭერით, მუხლი მოიყარეთ, ხელთათმანს დასწვდით და პატრონს უბოძეთ. თქვენ უსაზღვროდ ბედნიერი იყავით, რადგან ხელთათმანს შეეხეთ, რადგან ლაურას მადლობის სიტყვები მოისმინეთ. თქვენ სულ ელოდით, რომ მას კვლავ დაუვარდებოდა ხელთათმანი, მაგრამ აღარ დავარდნია.

მოულოდნელად შევხვდი მას. ერთი თვის შემდეგ. იმდენს ვფიქრობდი მასზე, იმდენი რამის თქმა მინდოდა მისთვის, მაგრამ როცა ის მესამე სართულის დერეფანში გამოჩნდა, ანაზდად ყველაფერი გადამავიწყდა და სისულელე ვუთხარი:

— ხელთათმანი გაქვს?

გაუკვირდა.

— ახლა ხომ მაისია...

ძალა მოვიკრიბე და ვუთხარი:

— მინდოდა, რომ ხელთათმანი დაგვარდნოდა და მე ამეღო.

გაოცებით შემომხედა:

— რატომ?

უეცრად თვალები გაუმხიარულდა, აუციმციმდა და პასუხს არც კი დალოდებია, ისე გაიქცა. მე გავეკიდე. ის დერეფანში მირბოდა. მერე კიბეზე დაეშვა, მერე სკოლის ეზოში გავარდა. მე კი მივდევდი, ისე ახლოს მივდევდი, რომ ვგრძნობდი, რომ მის თმას მზით გამთბარი ბალახის სურნელი ასდიოდა. ღობემდე მიირბინა, გაჩერდა და ჩემკენ მობრუნდა. მე გავირინდე. ძალიან ახლოს ვიდექით ერთმანეთთან, გამალებით ვსუნთქავდით და ერთმანეთს ვუყურებდით. არ ვიცი, რა მომივიდა — რაღაც უტიფარმა ძალამ მომწია ენაზე და ვთქვი:

— მე ყველა გოგოს ვკოცნი!

ვთქვი და უმალვე ვინანე, რამ მათქმევინა-მეთქი. მეგონა, რომ გამეცლებოდა, წავიდოდა, მაგრამ ის ადგილზევე იდგა, მხოლოდ თვალები მოწკურა, თითქოს ტკივილისგანო.

— ყველას? — დაიჩურჩულა, — ჩემთვის კი არავის უკოცნია.

ვიფიქრე, გავიქცევი-მეთქი, მაგრამ ის ისეთი ნდობით მიყურებდა, თვალებში ისეთი ტკივილი ედგა, რომ სულმოკლეობა ვერ გავბედე. ვიდექი თავდახრილი და ვგრძნობდი, როგორ მედებოდა სახეზე ალმური.

და ანაზდად მან მითხრა:

— მაშ, რატომ არ მკოცნი? მე რა, ყველაზე უარესი ვარ?

ის ყველაზე უკეთესი იყო! მაგრამ მე ჩემს სიცოცხლეში არცერთი გოგოსთვის არ მეკოცნა, ის კი არა, წარმოდგენაც არ მქონდა, როგორ შეიძლება კოცნა... მე მას ტყუილი ვუთხარი, ძვირფასო პეტრარკა!

და იმისათვის, რომ თავი არ მომჭროდა და სირცხვილს გადავრჩენოდი, ვუთხარი:

— გინდა, ასანთს გავკრავ და ანთებული ღერი კბილებით მეჭირება, სანამ არ დაიწვება?

მან შემომხედა და შიშით მკითხა:

— აღარ გამომეკიდები ხოლმე?

— გამოგეკიდები, — ამოვთქვი მე და ჩემმა სიტყვამ ფიცივით გაიჟღერა. — მე ყოველთვის გამოგეკიდები ხოლმე. და როცა დაზამთრდება, ხელთათმანებს მოგაწვდი ხოლმე, თუ დაგივარდება!

გატაცებით ვლაპარაკობდი და ვერც კი შევამჩნიე, როგორ აღმოჩნდა ჩემ გვერდით მათემატიკის მასწავლებელი ოლგა ივანოვნა. ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია, მას მიმართა:

— სად დაიკარგე?! მამა გვიცდის. ჩვენი წასვლის დროა...

მერე წავიდა და წაიყვანა ჩემი ლაურა. მე ვიცი, რომ თქვენი ლაურა შავი ჭირით მოკვდა 1348 წლის ზაფხულში, წიგნში წავიკითხე ამის შესახებ. ვიცი, როგორ განიცდიდით: "სინათლის სხივმა მიატოვა სააქაო ესე ქვეყანა". მაშინ თქვენ ვერონაში იყავით და "არ უწყოდით საკუთარი ბედის შესახებ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ლაურა მშობლებთან — სამხედრო მამასთან და დედასთან — ჩვენი მათემატიკის მასწავლებელთან ერთად წავიდა. ოლგა ივანოვნას ნაცვლად სხვა მასწავლებელი მოგვიყვანეს.

მაგრამ მე მაინც ველოდები ჩემს ლაურას. მესამე სართულზე ავდივარ და ნელა დავდივარ დერეფანში, ვერც ერთ იქ მოსეირნე გოგოს ვერ ვამჩნევ. ალბათ ჰგონიათ, რომ უხეირო ვიღაცა ვარ, მეჯახებიან, ხელს მკრავენ. მე კი ვხედავ, როგორ აირეკლება მის თვალებში ციმციმით ყველა სინათლე და ყველა ვარსკვლავი, მესმის მზეზე გახურებული ბალახის სურნელი. და მწარე სიხარული მიპყრობს.

მე ლექსებს არ ვწერ, მაგრამ აუცილებლად გამოვიგონებ ძალზე საჭირო მანქანას, ან ადამიანს გადავარჩენ, ან კოსმოსში გავფრინდები — მაშინ ის შეიტყობს ჩემ შესახებ და აუცილებლად გამომეხმაურება.

თარგმნა
**ხორეშან ცხვეთაძემ**

# წერილი პეტრარკას

ეროვნული ბიბლიოთეკა

# INTERSTATE'82




პლატფორმა: PC
ჟანრი: 3D Action
ინტერნეტი: www.activision.com.

სიუჟეტის გმირი თაურუს დიდი საიდუმლოს ამოხსნას ცდილობს. საქმეში ჩარეულები არიან მეცნიერები, ამერიკული სპეცსამსახურები, არმია და, რაღა თქმა უნდა, იმქვეყნიური ხაფანგებიც, მაგრამ თქვენ მარტო მოწინააღმდეგის დევნა, აღმოჩენა და განადგურება კი არ მოგიწევთ, არამედ საიდუმლოს გასახსნელად საჭირო სხვადასხვა ნივთების, გასაღებების ძებნაც, სხვადასხვა პერსონაჟებთან ურთიერთობაც, დაქირავებულ მკვლელებთან გასწორებაც და სხვადასხვა სადაზვერვო ოპერაციების განხორციელებაც. ეს ყოველივე მეტად საინტერესო ხასიათს იძენს იმის წყალობით, რომ თამაშში დამატებითი რეჟიმი ჩაირთვება. ამის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ მომენტში გააჩეროთ მანქანა, გადმოხვიდეთ და თავისუფლად იმოძრაოთ ფეხით — დაათვალიეროთ რაიმე შენობა, მიწისქვეშეთი ან გამოქვაბული. გზად შეიძლება მოწინააღმდეგის ავტომანქანა ან მოტოციკლი შემოგხვდეთ, მაგრამ თუ საზრიანობას გამოიჩენთ, ყველას ადვილად გაუმკლავდებით...

თამაშში სრული სახით არის წარმოდგენილი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე საოცარი ქალაქი — ლას-ვეგასი, მოქმედება მის ქუჩებშიც იშლება...




ძალები არამიწიერი ცივილიზაციის სახით, რომელთა არსებობის შესახებ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოები დუმან. ძველი მეგობრები, კარგად შეიარაღებული და უშიშარი Taurus და Groove ნევადაში, შუა უდაბნოში მდებარე სუპერსაიდუმლო ობიექტებს აწყდებიან. ისინი ერთ-ერთ მათგანზე შეღწევას ახერხებენ და სწორედ აქ იწყება ყველაფერი — მთავრობის ყველა სპეცაგენტი, ფედერალური ხელისუფლება და ბანდიტები ნადირობას აჩაღებენ ჩვენს გმირებზე. ცხადია, აქ რბოლაც არის, სროლაც, მძაფრი სიტუაციებიც და

# ULTRAFIGHTERS

პლატფორმა: PC
ჟანრი:
არკადული ავიასიმულატორი
გამომცემელი: Interactive Magic
მოთხოვნები კომპიუტერისადმი: 200, 16MB RAM, SVGA
ინტერნეტი: www.imagicgames.co.uk

XXVI საუკუნეში, რომელშიც UltraFighters-ის მოქმედება ხდება, ნავთობისა და გაზის მარაგისგან ნამდვილად არაფერი დარჩება. თამაშის სიუჟეტით ოცდამეექვსე საუკუნის კაცობრიობა ელექტროენერგიის გამოყენებაზე გადავიდა, ბენზინის დინოზავრები კი დავიწყებას მიეცა. ციურ სივრცეებს ელექტროძრავიანი თვითმფრინავები (UltraFighters) მართავენ. ამ ტიპის თვითმფრინავები თუმცა კი მეტისმეტად დიდ სიჩქარეს ვერ ავითარებენ და იარაღიც მხოლოდ თბური გააჩნიათ, სამაგიეროდ, უფრო მდგრადები, მანევრულები არიან და პილოტის უმცირეს მოძრაობაზე იცვლიან კურსს.

თამაში ახლო საჰაერო ბრძოლას ითვალისწინებს, ხოლო ბრძოლის შედეგები ბევრად იქნება დამოკიდებული მოთამაშის რეაქციაზე და ჯოისტიკის სახელურის ტრიალის უნარზე, ეს თამაში ხომ უფრო არკადაა, ვიდრე სიმულატორი.

თვითმფრინავები სახმელეთო აეროდრომებიდან კი არ ფრინდებიან, არამედ აეიამზიდიდან. ამასთან, აფრენა ყველაზე საინტერესოა, იმიტომ, რომ თვითმფრინავი საგნებს ზარბაზნით გამოისვრის, რის შემდეგაც ტყვიასავით მიჰქრის ზეცაში.

სხვათა შორის, გვინდა შეგახსენოთ, რომ თამაშის მსვლელობისას თქვენ შეგიძლიათ არა მარტო სრულყოთ თქვენი თვითმფრინავი, არამედ უფრო ახალი და სრულყოფილი გამანადგურებელიც შეიძინოთ. შემოსავლების წყაროდ კი წარმატებით შესრულებული დავალებები გამოგადგებათ, ხოლო თუ გატაცებული ადამიანი ხართ, მთელ მოგებულ კაპიტალს მხოლოდ ტექნიკურ სრულყოფას მოახმართ.

ძირითადი მოწინააღმდეგე თამაშში Zindo-ს მძლავრი კორპორაციის სამხედრო ძალები გეყოლებათ. ხოლო ჰაერში მარტო თქვენი "ელექტროგამანადგურებლის" მსგავს თვითმფრინავებთან კი არ მოგიხდებათ შეტაკება, არამედ საზღვაო ხომალდებთან, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალებთან, ზებგერით მატარებლებთან და სხვებთან.



# FILM & VIDEO

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „მერკური საფრთხეშია“

პატარა საიმონი (მიკო ჰიუიზი) სერიოზულად ავადაა: ხმას არავის



ცემს, ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ამჩნევს. სამაგიეროდ, შესანიშნავად ხსნის ურთულეს კომპიუტერულ ამოცანებს და დიდებულ თავსატეხებსაც ადგენს. ერთხელ, სრულიად შემთხვევით იგი ამერიკული ბირთვული იარაღის მართვის საიდუმლო კოდს ამოიცნობს და მას მერე ბავშვი იმათი სამიზნე ხდება, ვისაც სასიკვდილო იარაღის ხელში ჩაგდება უნდა. ეს უკანასკნელნი არავის ინდობენ. კილერები კლავენ საიმონის მშობლებს, თვითონ ბიჭი კი სასწაულებრივ გადარჩება. საქმის გამოძიებას დაზვერვის ფედერალური ბიუროს აგენტს ჯეფრის (ბრიუს უილისი) მიანდობენ, რომელიც თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანს დაობლებულ საიმონს და მის გადარჩენას ცდილობს.

"მერკური საფრთხეშია" საინტერესო "ბოევიკია", რომელშიც უხვად არის მძაფრი სიტუაციები და მელოდრამის მომენტები.

## „პრინც ვალიანტის ლეგენდა“

ეს მშვენიერი მულტფილმი 16 წლის პრინც ვალიანტისა და მისი მეგობრების არნისა და როვენას თავგადასავალზე მოგვითხრობს. ისინი არტურ მეფის სამეფოში აღმოჩნდებიან, სადაც ტრუბადურთა სიმღერებს მღერიან, სადაც რაინდები პაექრობენ, სადაც დიდებისა და სიყვარულისთვის საგმირო საქმეებს სჩადიან. 16 წლის პრინცი და მისი თანამგზავრები მოხიბლულები არიან იქაურობით და



ხან საკუთარი სურვილით, ხანაც განგების ნებით არაჩვეულებრივ თავგადასავლებში მონაწილეობენ.

## „1914 წლის მშვენიერი ზაფხული“

ეს ფილმი პირველ სიყვარულზეა, რომელსაც ბევრი თქვენთაგანი გულისფანცქალით ელის. ამბავი საფრანგეთში ხდება. ფილმის გმირები გოგონები და ბიჭები არიან, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, უმთავრესად სიყვარულზე და იმაზე ფიქრობენ, თუ



ვის აჩუქონ თავიანთი პირველი კოცნა. ბლანშს, რომლის როლსაც შესანიშნავად ასრულებს ნიჭიერი მსახიობი ჟიული მორავადი, ვერაფრით ვერ გაურკვევია ვინ არის მისი რომანის ნამდვილი გმირი. მას თავისი თანატოლი ბიჭიც უყვარს, – ისინი კოცნიან კიდეც ერთმანეთს სხვენში, – და დახვეწილი მანერების მქონე ახალგაზრდა მასწავლებელიც– ერთი სიტყვით, "1914 წლის მშვენიერი ზაფხული" მშვენიერი ფილმია პირველ სიყვარულზე.

## „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავლები“

როგორც ყოველთვის, ტყუილების გუდა ბარონი ამჯერადაც ძალიან გაგამხიარულებთ. ამიტომ



გირჩევთ ნახოთ მისი ახალი თავგადასავლები, რომლებშიც უხვადაა ფანტასტიკაც და კომიკური სიტუაციებიც. თუ იმასაც დავძენთ, რომ ფილმში ჩინებული მსახიობები მონაწილეობენ (ჯონ ნევილი, ოლივერ რიდი, ჯონათან პრაისი), ნამდვილად გაგიჩნდებათ მისი ნახვის სურვილი.

# კითხვა - თქვენი

**ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გვესმის სიტყვა „თინეიჯერი“, ჩვენ ასე გვგონია, რომ ის მოზარდს ნიშნავს. აგვიხსენით, თუ შეიძლება, ასეა თუ არა?**

**თანაკლასელების სახელით,**

**ნესტან დურგლიშვილი**

თუ ინგლისურ ლექსიკონს დავუჯერებთ, თინეიჯერებად ითვლებიან სქესის და ნებისმიერი ეროვნების 13-დან 19 წლემდე ასაკის პირები. (ინგლისური დაბოლოება "... ტეენ" სწორედ ამ ციფრებს ახასიათებს). მაგრამ დროთა განმავლობაში ასაკობრივი ჩარჩოები შეიცვალა და დღეს 12 წლის გოგო-ბიჭები სიამაყით აცხადებენ "თინები" ვართო, მაშინ როცა 18-19 წლისანი აღარ კადრულობენ ამ წოდებას. პრინციპში თინეიჯერია ყველა, ვისაც ასეთად მიაჩნია თავი, ვინც მზად არის შეუპოვრად გადაიტანოს ცხოვრების იმ პერიოდის ყველა სიძნელე, "გარდამავალს" რომ უწოდებენ. თინეიჯერი აღარც ბავშვია, მაგრამ ჯერ არც დიდია. "თინები" ცდილობენ მოიპოვონ დამოუკიდებლობა, არ შეეპუონ სინამდვილეს, გაერკვნენ საკუთარ თავში.

მე და ჩემს მეგობრებს

**ალექსანდრე მაკედონელისა და სპარტაკის წარმომავლობასთან დაკავშირებით კამათი მოგვივიდა. ზოგი ამტკიცებდა, რადგან სპარტაკი თრაკიაში დაიბადა, ეროვნებით თრაკიელიაო, ასევე ალექსანდრე მაკედონელი მაკედონიაში დაბადებულია და მაშასადამე, მაკედონელიაო. ზოგი კი დარწმუნებით აცხადებდა, ალექსანდრეც და სპარტაკიც ბერძნები იყვნენო. გაგვარკვიეთ, ვინ არის მართალი?**

**ნათია ორმოცაძე,**

**ლანჩხუთი.**

თრაკია და მაკედონია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე მეზობელი ოლქებია. უძველეს ხანაში აქ თრაკიელთა და მაკედონელთა მონათესავე ტომები სახლობდნენ. მათი მონათესავეები იყვნენ ბერძნებიც. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ შორის არავითარი სხვაობა არ ყოფილა. ამ თვალსაზრისით სპარტაკი სწორედაც თრაკიელი იყო. ალექსანდრე კი მაკედონელი. ასეთია მარტივი პასუხი. მარტივი, მაგრამ ამომწურავი.

ალექსანდრე მაკედონელი, რომელმაც მამისგან, ფილიპე მეორესგან მემკვიდრეობით მიიღო მეფის ტიტული, ბერძნულ კულტურაზე იყო აღზრდილი. მოგეხსენებათ, ფილიპეს საბერძნეთი ემორჩილებოდა. ალექსანდრეს მასწავლებელი სახელგანთქმული ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე იყო, ხოლო მშობლიური ენა — ბერძნული. ალექსანდრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე 356 წელს დაიბადა და გარდაცვალებამდე (იგი 33 წლისა გარდაიცვალა) უზარმაზარი იმპერიის შექმნა მოასწრო. ამ იმპერიაში შედიოდა თრაკიაც.

ადვილი შესაძლებელია, ბერძნული ზეგავლენა, რომელმაც მთელი ძველი მსოფლიო მოიცვა, სპარტაკზეც გავრცელებულიყო. მაგრამ მისი ცხოვრების შესახებ ისტორიამ გაცილებით ნაკლები ცნობები შემოინახა, ვიდრე ალექსანდრეზე. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 73 (თუ 74) წელს მონა-გლადიატორების აჯანყებას ჩაუდგა სათავეში და დიდი წინააღმდეგობა გაუწია რომაელთა არმიას. ისიც უტყუარად არის ცნობილი, რომ 71 წელს გამართულ გენერალურ ბრძოლაში აჯანყებულები დამარცხდნენ. ამავე ბრძოლაში დაიღუპა სპარტაკიც.

# პასუხი - ჩვენი



# დეტექტიური თავსატეხი

თუმცა გვიანი იყო, ინსპექტორი ვერნერი ისევ თავის კაბინეტში იყო. მას შემდეგი შინარსის დეპეშა მიუტანეს: "გაფრთხილებთ, მუზეუმიდან რემბრანდტის სურათს მოიპარავენ. მეგობარი". როგორც კი დეპეშა წაიკითხა, ინსპექტორი მუზეუმისაკენ გაეშურა, მაგრამ დარბაზში ცარიელი ჩარჩოლა დახვდა: ქურდს ტილო ამოეჭრა და წაეღო. ჩარჩოს წინ ორი ადამიანი იდგა: მოხდენილი ახალგაზრდა ქალი და მუზეუმის მცველი.

— მე პოლიციიდან გახლავართ, — მიმართა მათ ინსპექტორმა — ახლახან მაცნობეს, მუზეუმიდან რემბრანდტის სურათის მოპარვას აპირებენო. როგორც ჩანს, დამაგვიანდა. თქვენ მუზეუმის ადმინისტრატორი ბრძანდებით? — მიუბრუნდა იგი ქალს.

— დიახ, — მიუგო მან — ჩემი გვარია გროევერი. რამდენიმე წუთის წინ მცველმა შემატყობინა, რომ მოიპარეს ჩვენი კოლექციის ყველაზე ძვირფასი სურათი.

— როდის აღმოაჩინეთ, რომ სურათი მოპარულია? — ჰკითხა ინსპექტორმა მცველს.

— ათი წუთი იქნება. სრულიად შემთხვევით, იმიტომ რომ მუზეუმი შვიდ საათზე იხურება, ანუ ეს დარბაზი მე ორი საათის წინ დავკეტე. ხვალ დილით უნდა გამეღო, მაგრამ ანაზდად გამახსენდა, რომ დარბაზში წიგნი დამრჩა, რომელსაც მაშინ ვკითხულობ, როცა ცოტა მნახველია. რომ დავბრუნდი, სწორედ მაშინ შევნიშნე, რომ რემბრანდტის ჩარჩო ცარიელი იყო.

— პირველად რომ ჩაკეტეთ დარბაზი, როცა მნახველთა შემოშვება შეწყდა, სურათი ადგილზე იყო?

— რა თქმა უნდა. დარწმუნებით მოგახსენებთ ამას, იმიტომ რომ დაკეტვის წინ, მტვერს რომ ვწმენდდი, რემბრანდტიც გავწმინდე. ჩანს რომ ცარიელი ყოფილიყო, აუცილებლად შევამჩნევდი.

— თქვენ რაღას ფიქრობთ, ქალბატონო, ყოველივე ამის შესახებ? — ჰკითხა ინსპექტორმა ქალს.

— მე მგონი, დეპეშა თვითონ ქურდმა გამოგიგზავნათ. შეიძლება, ვინმე მანიაკია და უნდოდა თავისი დანაშაულით რაც შეიძლება მეტი ხმაური გამოეწვია. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საგამოძიებო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევებიც ხდება.

— მართალი ბრძანდებით. მაგრამ მე მგონია, რომ ქურდობა ან თქვენი ჩადენილია, ან დარაჯის. არ დაგიმალავთ, დარწმუნებით ვიცი, რომელი თქვენგანია ბოროტმოქმედი.

ვინ იგულისხმა ინსპექ ტორმა?

***

როცა ლონდონის მიწისქვეშა რკინიგზის ერთ-ერთ სადგურზე პირველი ესკალატორი დააყენეს მოძრავმა კიბემ ხალხი შეაშინა, მგზავრები კიბის თავში შეჯგუფებულიყვნენ, ნაბიჯის გადადგმას ვერავინ ბედავდა.

რამდენიმე დღის შემდეგ სადგურის ადმინისტრაციამ ბრწყინვალე გამოსავალი იპოვა: მან ცალფეხა ინვალიდი დაიქირავა, რომელიც მშვიდად "მოგზაურობდა" ესკალატორით. ამ მაგალითმა ხალხი დაარწმუნა, რომ მოძრავი კიბე სავსებით უხიფათოა.



**ინკვიზიციის ლმობიერების წყალობით**

თურმე თამბაქოს წევის მავნე ჩვეულების გავრცელებაში ბრალი მიუძღვის... ინკვიზიციას.

ალბათ იკითხეთ: საიდან სადაო, ინკვიზაციას რა საერთო უნდა ჰქონოდა თამბაქოს წევის ჩვეულებასთანო.

აი, რა მოხდა. პირველი ევროპელი მწეველი, რომელიც XVI საუკუნის დამდეგს თავის მშობლიური ქალაქის ქუჩებში თავმომწონედ დასეირნობდა პირში სიგარაგაჩრილი, ესპანელი როდრიგო დე იერა გახლდათ. იგი სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში მოგზაურობდა ხოლმე და თამბაქოს წევა იქაურ მკვიდრთაგან ისწავლა. როდრიგო ნათესავებმა ინკვიზაციის მაღალ მოხელეებთან დაასმინეს: ამ ჩვენს მოგზაურს უცხო ქვეყნებში ყოფნისას გვამში ეშმაკი ჩაუსახლდა და მისი ნესტოებიდან გამუდმებით ბოლავს მყრალი კვამლიო.

მაგრამ ინკვიზატორებმა მიუტევებელი ლმობიერება გამოიჩინეს — როდრიგო გაამართლეს.

პირველი თავგამოდებული მწეველი



ინკვიზიციას კოცონზე დაწვით რომ დაესაჯა, იმ დროს ევროპაში ნამდვილად არ გავრცელდებოდა თამბაქოს წევის ჩვეულება.

# თურმე...

**საინტერესო ტრადიცია**

ინგლისელები მოძველებული ტრადიციების მხარდამჭერებად ითვლებიან, მაგრამ ამ ტრადიციათაგან არის ერთი საინტერესო ტრადიცია, რომელშიაც ერთგვარი ცხოვრებისეული სიბრძნეც არის ჩაქსოვილი. აი, ისიც: ორ თვეში ერთხელ აუცილებლად უნდა გადაისინჯოს საოჯახო ბიბლიოთეკა იმ მიზნით, რომ გადაირჩეს თავისი ნამდვილი პატრონების — მეგობრებისა და ნაცნობებისათვის დასაბრუნებელი წიგნები.



**აღწერა უკომპიუტეროდ**

თავისი ხალხის აღწერისათვის ახალი გვინეის ერთ-ერთი ტომის ბელადს სულაც არ სჭირდება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა. სტატისტიკა აქ კომპიუტერის გარეშეც მაღალ დონეზეა.

ბავშვის გაჩენისთანავე ოჯახის უფროსი ფეხზე სამაჯურს იკეთებს. ოჯახის რომელიმე წევრის გარდაცვალების შემთხვევაში სამაჯური შესაბამისად იხსნება. აღწერის ჩასატარებლად ბელადმა საკმარისია გადათვალოს ისინი.



**ქალაქში ნიანგები დადიან**

ავსტრალიაში ნიანგებზე ნადირობა კანონით აკრძალულია. ამით აიხსნება ის, რომ ქალაქ დარვინში, მაგალითად, ნიანგები შეიძლება ქუჩაშიც კი შეგხვდნენ.



მართალია, სპეციალისტები ამტკიცებენ, ნიანგები ადამიანებს არ ერჩიანო, მაგრამ თვით ნიანგები ამაზე რა აზრისა არიან, არავინ იცის. ყოველი შემთხვევისათვის, ქალაქში გამაფრთხილებელი წარწერებია გაკრული, პლაჟებზე კი მეთვალყურეები მორიგეობენ.

* * *

მასწავლებელი: ჩელებაძე ამოცანა ამოხსენი?

მოსწავლე: დიახ, მასწ.

მასწავლებელი: რამდენი მაყურებელი ყოფილა დარბაზში?

მოსწავლე: 63,5 მაყურებელი

* * *

მასწავლებელი: რა არის ინტერიერი?

მოსწავლე: ძაღლის ჯიში.

* * *

მასწავლებელი: მაშ, რომელი ყველაზე დიდი ფრინველი ყოფილა გავრცელებული აფრიკაში?

მოსწავლე: ყველაზე დიდი? ანტილოპა!!!

* * *

მასწავლებელი: როგორ ზრდიდნენ ძველი სპარტანელები ბიჭებს?

მოსწავლე: ძველი სპარტანელები ბიჭებს ასწავლიდნენ, რომ მათ ავტობუსში უფროსებისათვის უნდა დაეთმოთ ადგილი.

* * *

მაქსი მწარედ ტირის სკოლის დერეფანში. კლასის დამრიგებელი ეკითხება:

— რა მოხდა? რა გატირებს?

— მათემატიკის მასწავლებელი კიბეზე დაგორდა.

— ნუ ტირი, არაფერი მოსულია, კარგად არის.

— როგორ არ ვიტირო, ყველამ

# სიცილის გაკვეთილი



დაინახა, როგორ მიგორავდა, მე კი ამ დროს ბუფეტში ვიყავი.

* * *

— მამი, გაგეხარდებოდა, მე რომ შენთვის ერთი დოლარი დამეზოგა?

— რა თქმა უნდა, შვილო.

— მაშინ შეგიძლია შემაქო. გახსოვს, რომ შემპირდი, თუ ამ კვირაში კარგ ნიშანს მიიღებ დოლარს მოგცემო? მინდა გითხრა, რომ კარგი ნიშანი არ მიმიღია.

* * *

მასწავლებელი: რა არის სამკუთხედი?

მოსწავლე: სამკუთხედი არის ფიგურა, რომლის ორი გვერდი ფეხზე დგას, მესამე კი წამოწოლილია.

* * *

მასწავლებელი: რომელ იარაღებს იყენებდა უძველესი ადამიანი?

მოსწავლე: უძველესი ადამიანი ხის რკინეულობას იყენებდა.

* * *

— როგორ მოხდა, რომ გეოგრაფიის გარდა ყველა საგანში ორიანები გყავს?

— გეოგრაფიაში ჯერ არ გაუძახივარ და იმიტომ.

* * *

მასწავლებელი: შენ ისევ რაღაცას ხატავ და ყურს არ მიგდებ!

მოსწავლე: მე ცალი ყურით გისმენთ, მეორეთი კი ვხატავ.

* * *

— დაწერეთ: "რაფაზე ყვავილები დგას". რომელ ადგილზეა შემასმენელი?

— რაფაზე.

* * *

ავტობუსში:

— ბიჭი, რა, სკოლაში არ გასწავლიან, რომ უფროსებს ადგილი უნდა დაუთმო?

— არ გვასწავლიან. არდადეგები გვაქვს.

* * *

მასწავლებელი: არ გრცხვენია, ყველა მაგალითი ამხანაგებისგან გაქვს გადაწერილი.

მოსწავლე: ყველა არა, მასწ, მარტო ორის გადაწერა მოვასწარი.

# იწილო-ბიწილო

## იპოვეთ ათი განსხვავება





თანმიმდევრობით
შეაერთეთ
ციფრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს ყველა ვარსკვლავი

## ALL SAINTS

All Saints-ის წარმატება, ერთი შეხედვით, მოულოდნელია, არადა, ჯგუფის ისტორია დაახლოებით შვიდი წლის წინ დაიწყო, როცა შაზნეი ლიუისმა და მელონი ბლატმა ერთ-ერთ ჩამწერ სტუდიაში გაიცნეს ერთმანეთი. მაშინ ისინი სკოლის მოსწავლეები იყვნენ, სტუდიაში კი მარტო ჩაის მოდუღებას თუ აეალებდნენ ხოლმე. გოგონებს მალე მობეზრდათ ადგილობრივი ვარსკვლავების მომსახურება და კიდევ ერთ თანატოლთან, სიმონა რეიფორდთან ერთად ვოკალური ტრიო ჩამოაყალიბეს და იმ ქუჩის სახელი დაირქვეს, რომელზეც ხსენებული სტუდია მდებარეობდა – ოლ სეინტს-როუდ. ტრიომ კონტრაქტი კი მიიღო, მაგრამ ჰიტ-პარადში ვერ მოხვდა, მერე უსიამოვნებამაც იჩინა თავი და რეინფორდი სამუდამოდ ჩამოსცილდა ამხანაგებს. სამაგიეროდ შაზნეი და მელანი შემთხვევით შეხვდნენ ოკეანის გაღმიდან ახლად დაბრუნებულ ნიკოლ ეპლტონს, რომელიც თავის უფროს დასთან, ნატალისთან ერთად სიამოვნებით შეუერთდა მათ. კვარტეტი ენერგიულად შეუდგა საკუთარი საფირმო ჟღერადობის გამომუშავებას. გოგონების დამოფირები ხელში ჩაუვარდა მენეჯერ ჯონ ბენსონს, რომელმაც დაუყონებლივ შესთავაზა მათ კონტრაქტი.

1997 წლის სექტემბერში გამოსულმა სადებიუტო სინგლმა "I Know Where Its At" ბრიტანულ ჰიტ-პარადში მეოთხე ადგილი დაიკავა, "სპაისომანიით" დაღლილმა კრიტიკოსებმა კი მათ შემოქმედებაში 90-იანი წლების პოპ-მუსიკის ყველაზე პროგრესული ქმნილებების კვინტესენცია დაინახეს.

რამდენიმე კვირის შემდეგ გამოვიდა მეორე სინგლი "Never Ever", რასაც "ყველაწმიდათა" საყოველთაო აღიარება მოჰყვა. გოგონების ამ სინგლმა პირველი ადგილი დაიკავა ჰიტში, მანამდე კი სარეკორდო 770 ათასიანი ტირაჟით გავრცელდა. ამასობაში "All Saints"-ის სადებიუტო ალბომიც გამოვიდა, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი პირველ ევროპულ "ზუთეულებსა" და "სამეულებში" და საგრძნობლად შეუწყო ხელი Spice Girls-ის ისედაც გაფერმკთალებული დიდების ჩასვენებას.

